ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 7 (1381)

18-25 მარტი, 1994 წ.

ორიოდე სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვის შესახებ

წავიკითხე ბატონი აკაკი ძიძიგურის წერილი — „ჩემს წინაშე იყო კაცი, რომელმაც 35 წლის წინ მოკლა ილია“ (გაზ. „ოქროს არწივი“, 1994 წ. 4 თებერვალი). ამ წერილში ბატონი აკაკი წერს: ...“დიახ, მე გახლავართ ამ სასამართლო პროცესის ერთადერთი ცოცხალი მოწმე“, და შემდეგ, როცა ეკითხებიან სტენოგრამის არსებობის შესახებ, პასუხობს: „არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ამოღებულია, მათ შორის საბოლოო სიტყვაც“.

მე მქონდა ბედნიერება სრულიად ახალგაზრდა სტენოგრაფი მოვხვედრილიყავი ამ პროცესზე, რომელზეც დასწრება განსაკუთრებული საშვის გარეშე არ შეიძლებოდა და დამსწრეთა რიცხვი მკაცრად შეზღუდული იყო. სასამართლო პროცესის მთელი სხდომების დასტენოგრამება მიმდინარეობდა „მომენტალური დაშიფვრით“, რაც ნიშნავს სხდომის დამთავრებისთანავე უკვე გადაბეჭდილი სტენოგრამის ჩაბარებას. ასეთი დროს მუშაობს 4 ან 6 კაციანი ჯგუფი. იმ 4 ქართველ სტენოგრაფთა შორის გახლდით მეც და რადგანაც მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ამიტომ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა გ. ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვის შესახებ.

სასამართლო პროცესზე დაკითხულ - ძრავალ მოწმეთაგან, ზოგიერთს გავიხსენებ: პირველი სკოლის პედაგოგებმა — ნინო ვარდიაშვილმა და ილია სიხარულიძემ სასამართლოს მოახსენეს — გ. ბერბიჭაშვილმა მშობელთა კრებაზე ერთგვარი სიამაყითაც კი განაცხადა, რომ მოკლა ილია — ფეოდალი და მებატონე, რომელიც გლეხობას ავიწროებდა და აწიოკებდა; ასევე იყო დაკითხული ორი აგრონომი (გვარები არ მახსოვს), რომლებიც სტუდენტობის დროს დუშეთში პრაქტიკაზე იყვნენ და გაიგეს, რომ იქ არის ილიას მკვლელი; მათთან საუბარში გ. ბერბიჭაშვილმა იგივე გაიმეორა — სოციალ-დემოკრატების დავალებით მოკლა ილია, როგორც ფეოდალი და ა. შ.

ილიასდროინდელი დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფალავა ამტკიცებდა, რომ ილიას მკვლელობა მეფის „ოხრანკის“ საქმე იყო და ამ მკვლელობის ორგანიზატორი დ. ჯაში — „ოხრანკის“ აგენტი.

ამას . იმიტომ ვიხსენებ, რომ სასამართლოს თავმჯდომარე ი. ოდიშვილი მოწმეთა ჩვენებას სოციალ-დემოკრატების შესახებ ყურს არ ათხოვებდა, ყურადღების მიღმა ტოვებდა, სასამართლო პროცესი ისე მიჰყავდა, რომ დაემტკიცებინა „ოხრანკის“ ორგანიზატორული როლი ილიას მკვლელობაში, რამდენჯერმე ეცადა ბრალდებულისათვის (რომელიც მეტად ჯიუტი, კუშტი კაცი იყო) ელიარებინებინა, რომ მან ეს დანაშაული ჩაიდინა „ოხრანკის“ დავალებით, მაგრამ ვერა და ვერ ათქმევინა, ალბათ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვა ჩვენ, სტენოგრაფებს, არ ჩაგვაწერინეს, არ იცოდნენ რას ელოდნენ ამ ჯიუტი კაცისაგან — რას იტყოდა ის თავის საბოლოო სიტყვაში.

სტენოგრაფებმა ჩაწერეთ სასამართლო პროცესის ყველა სხდომა, მაგრამ ბოლო სხდომაზე, როცა ჯერი მიდგა ბრალდებულის საბოლოო სიტყვაზე, წერა შეგვაწყვეტინეს.

სასამართლოს დამთავრებისთანავე მივედი ჩემს მასწავლებელთან. ეს გახლდათ ქართული სტენოგრაფიის სისტემის ავტორი — მარიამ ლეონიძე, რომელიც იმავდროს იყო ჩემი ძალუა (დედაჩემის ძმის — მიხეილ სიდამონ-ერისთავის მეუღლე), ფრიად განათლებული, საინტერესო პიროვნება. ყოველი საინტერესო საბუთის შემდეგ მიერბოდი მასთან და ჟურნალისტებდი შთაბეჭდილებებს. ასე მოხდა ამჯერადაც; ეუთხარი, რომ წერა შეგვაწყვეტინეს ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვის წინ და მოკუმული რა და როგორ სთქვა გ. ბერბიჭაშვილმა. მან გამოიტანა რვეული და მითხრა: „დაჯექი და ეხლავე დაწერე, რაც მოყვები. თავის დროზე ეს იქნება საინტერესო მასალა“.

აი, ეს სიტყვაც:

„პატივცემულო მოსამართლენო! ნება მიბოძეთ იმდენს ვილაპარაკო, რამდენიც დამჭირდება. შეიძლება მე ისე ვერ ვილაპარაკო, როგორც პატივცემული პროკურორი ლაპარაკობდა, მაგრამ რა ვქნა? — მე უსწავლელი კაცი ვარ. პატივცემული პროკურორი რომ დაიბადა, მას აკვანთან დახვდა უმაღლესი განათლება; ჩემი სკოლა კი ტყე იყო და დათვები.

პატივცემულო მოსამართლენო და პატივცემულო საზოგადოებავ! — საბჭოთა კანონში, სოციალისტურ კანონში ასე წერია: „დასასჯელი უნდა დაისაჯოს“, ყველამ თავისი სასჯელი უნდა მოიხადოს, მაგრამ რა საჭიროა ადამიანს თავისი სასჯელის გარდა კიდევ ზედმეტი სასჯელი დაედოს?! მე კი აქ პატ. პროკურორმა ცხრაჯერ დამსაჯა, როდესაც დაშწამა ჭურდობა და ყაჩაღობა. წადით ჩემს სოფელში, იქ დღესაც არის ჩემი ხნის ხალხი, მოიკითხეთ, გაიგეთ, — აბა თუ ვინმე იტყვის ჩემს ავაზაკობას, ჩემს ყაჩაღობას?!

აქ გამოსული მოწმეები, ეს ცრუინფორმატორები გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ მე, თითქოს,

დასასრული მე-6 გვ.

გაზეთ „საქართველოს“ თანამდგომებს,

ფირმებს,

კონცერნებს,

ბანკებს,

კერძო პირებს!

ძვირფასო მეგობრებო, დღემდე საჯაროდ წუწუნი გვესირცხვილებოდა, მაგრამ გაჭირვებამ პატარძალთან კი არა, ლამის არის ღია ცისქვეშ დაგვაწვინოს.

ვისაც არ უნდა ჩვენი გაზეთის ყოფნა-არყოფნა საკითხავი გახდეს, იქნებ მოგვხედოს და შესაძლებლობის ფარგლებში წაგვეშველოს.

თუ ასე წავიდა ცხოვრება, მოგჭამათ ჭირი, თქვენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალთ, თუ რამე უკეთესობისაკენ შეიცვალა, ჩვენს თანამდგომებს გაზეთი „საქართველო“ სამსახურს არ დაუვიწყებს.

უკეთესობისაკენ ცხოვრების შესაცვლელად კი გაზეთ „საქართველოს“ არსებობა აუცილებელია.

ჩვენს მიერ გაკრიტიკებული, ქვეყნის დამაქცევარი და კუპონის ამ დღეში ჩამგდები ხალხისაგან დახმარებას არ ვღებულობთ.

რედაქცია

ინტერვიუ

ჯეკ მეთლოქი: ძალით დამოუკიდებელი ვერავინ გახდება

ჯეკ მეთლოქი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იყო საბჭოთა კავშირში მთელი პერესტროიკის პერიოდის განმავლობაში. დღესაც ამერიკაში იგი საბჭოთა იმპერიის ნამსხვრევებზე წარმოქმნილი სახელმწიფოების პოლიტიკის ავტორიტეტულ ექსპერტად ითვლება. ბ-ნი მეთლოქი სიამოვნებით დასთანხმდა გაეზიარებინა მისი მოსაზრებები გაზეთ „საქართველოს“ მკითხველთათვის. მას ნიუ-იორკში შეხვდა და ესაუბრა გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი, პოლიტოლოგი მიხეილ სააკაშვილი.

გაგრძელება მე-4 გვ.

ცხოვრების სტილი

ექვსი მცნება ამერიკის პრეზიდენტებისათვის და არა მხოლოდ მათთვის

ედუარდ შევარდნაძე

ის ექვსი მცნება, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ჩამოყალიბებულია ამერიკულ პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა მოსეს, პროფესორ პიტერ დრაკერის მიერ, როგორც დახმარება და ძირითადი სახელმძღვანელო შეერთებული შტატების დღეგანდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონისათვის. დრაკერმა ამ ექვს მცნებაში თავი მოუყარა თეორი სახლის ახლანდელი პატრონის წინამორბედთა გამოცდილებას. იგი თვლიდა, რომ ყველაზე სუსტი პრეზიდენტებიც კი წარმატებას აღწევდნენ, როცა ამ მცნებებს მისდევდნენ, ხოლო ყველაზე ძლიერნი — მარცხს განიცდიდნენ მათი დარღვევის შემთხვევაში.

რას ქადაგებს ეს მცნებები?

მცნება პირველი. იგი წმინდად ლენინურად, ან ჩერნიშევსკისებურად ჟღერს — რა ეკეთოთ? დრაკერი თვლის, რომ ეს ის უპირველესი კითხვაა, რომელიც პრეზიდენტმა თავის თავს არჩევისთანავე უნდა დაუსვას. სწორედ რომ რისი გაკეთებაა სავალდებულო, და არა რისი გაკეთებაც მას სურს, მიუხედავად იმისა, თუ ეს სურვილები მისი წინასაარჩევნო კამპანიის ფოკუსი (რასაკვირველია, არა საცირკო) იყო.

ჰარი ტრუმენი, რომელიც პრეზიდენტად იქნა არჩეული 1945 წლის აპრილში, ფრანკლინ დელანო რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, დარწმუნებული იყო (ისევე, როგორც ამომრჩეველთა უმრავლესობა), რომ მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ შინაურ პრობლემებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. მას გულწრფელად სურდა რუზველტის ახალი კურსის აღორძინება. მაგრამ თეთრ სახლში ყოფნის სულ რამოდენიმე კვირის თავზე ტრუმენი მიხვდა, რომ მთავარი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში სტალინის ექსპანსიონიზმის შეჩერება უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე რუზველტისეული ახალი კურსის რეანიმაცია. ეს „გაცნობიერება“ ეწინააღმდეგებოდა ტრუმენის შინაგან მიდრეკილებებს. მას „არ უყვარდა“ საგარეო პოლიტიკა, მაგრამ შეძლო ფეხი დაებიჯებინა თავის „მისსურიული ვალისისათვის“ და სწორედ ამიტომ პატარა, მოკლეშარვლიანი კაცუნადან (როგორც მას ბორის გორბატოვი აღწერდა თავის ცნობილ პამფლეტში) ერთ-ერთი ყველაზე რჩეულ ამერიკულ პრეზიდენტად იქცა („ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“ და ა. შ.). ის, რომ მსოფლიო მკვეთრად იცვლება არჩევნების დღიდან ინაუგურაციამდე, უკვე დიდი ხანია ამერიკული პოლიტიკური ცხოვრების წესად იქცა. და თუ პრეზიდენტი ამას არ აღიარებს, მისი მმართველობა აუცილებლად კრახით მთავრდება. მაგალითისათვის ჯიმი კარტერის გახსენებაც კმარა. ასეთ სიფუტეს არავერი აქვს საერთო

გაგრძელება მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაჩაბლო

"არაფერი ახალი ამ ქვეყნად არ ხდება"

27 მარტს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში" ტარდება არჩევნები, რომელმაც უნდა შექმნას პარლამენტი ანუ მათებურად „ნიხასი". არჩევნებში მონაწილეობას იღებს 12 პარტია, საზოგადოება და კავშირი. მათ შორის ოსეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც სოციოლოგიური გამოკვლევით ამომრჩეველთა 46 პროცენტი უჭერს მხარს. კენჭს იყრის აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილების სამხრეთ ოსეთის ცენტრი (?!) და რუსული ნაციონალურ-კულტურული ცენტრი „როსსი".

მოკლედ ვისაც არ ეზარება ამ ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ ქალაქში მოკალათდა და ხელისუფლებაში ყოფნის ამბიციებითაც დაავადდა. ყველა-ყველა, მაგრამ „როსები" და ჩრდილოეთ კავკასიელი „მეცნიერები" მაინც საიდან გამოტყვრნენ.

ამ არჩევნებს ყველა დიდი სიხარულით არ მოელის ცხინვალში. ყველა ბანდიტურ-მაფიოზურ კლანს სურს თავისი ხალხი ჰყავდეს „საკანონმდებლო" ორგანოში და უკვე წარმოჩინდა დაპირისპირება მათ შორის. არცთუ იშვიათად ისმის აფეთქებების ხმა და „ხანდახან" ვიღაცებსაც კლავენ. მოკლედ, სიტუაცია იქ ძალიან წააგავს აქისას, იმ განსხვავებით, რომ აქ ყველაფერი გაყოფილია იქ კი გასაყოფი.

სეპარატიზმის ფესვები

ერთი თვის წინ, ცხინვალში ზარ-ზეიმით აღინიშნა ოსი ინჟინრის რუთენ გაგლოევის დაბადებიდან 106 წლისთავი. ამ კაცის სახელთან არის დაკავშირებული ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის იდეაც და ადრეული პროექტებიც.

საუკუნის გარიჟრაჟზე გაგლოევმა და მისმა თანამზრახველებმა ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს, მაშინ მხოლოდ ჯავა-როკის საურმე გზის მშენებლობა მოხერხდა, ხელი შეუშალათ მსოფლიო ომმაც. 30—იან წლებში მშენებლობა თითქოს წამოიწყეს, მაგრამ რეპრესიებს პროექტის ავტორიც შეეწირა და მისი „ოსეთების" გაერთიანების იდეაც. 70-იან წლებში მაგისტრალის მშენებლობა მაინც დაიწყო და მისი დამთავრებისთანავე სეპარატიზმიც აღორძინდა. იუბილეზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა კიდეც: „რომ არ ყოფილიყო რუთენ გაგლოევის პროექტი, ჩვენი ბრძოლა განწირული იყო, არ იქნებოდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა". ამაზე მეტი გულახდილობა რაღა უნდა იყოს. როგორც ვხედავთ სეპარატიზმის ფესვები საკმაოდ ღრმაა და თუ სერიოზულად არ მიუხედეთ ყოველთვის ექნება შხამიანი ამონაყარი.

საზღვარს ორი დროშა უსდეგა

როკის გვირაბის ჩრდილოეთ პორტალიდან ჩვიდმეტიოდე კილომეტრზე, ჩრდილოოსეთის რესპუბლიკის სოფელ ბურონთან განლაგდა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების მცირე კონტინგენტი. ახალგაზრდა ოფიცრები ზერელედ, უსანდომოდ ამოწმებენ ტრანსპორტისა და მგზავრთა დოკუმენტებს. პირადობის მოწმობის არქონის შემთხვევაშიც მოქალაქეთა გადაადგილებას არაფერი არ უშლის ხელს. მიუხედავად ამისა, ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ცხინვალში, თუმცა შემდეგ ვნებები ჩაცხრა და ოსები ნელ-ნელა შეეგუენ რუსეთის დროშის ქვეშ სიარულს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმავე ბურონთან, სადაც გადიოდა საზღვარი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს სსრ-ს შორის, მალე აღმართება ქართული ალამი, დადგებიან ქართველი მესაზღვრეები.

მერაბ მაისურაძე

თელასის აზრით ვარკეთილსა და დიდ დიღომში „ზანგები" ცხოვრობენ...

საყოველთაო გაჭირვებამ, რომელმაც ამ ბოლო ორ წელიწადში მოიცვა ჩვენი ქვეყანა, მართლაც რომ მნიშვნელოვანი დღი დააჩნია არათუ ჩვენს ფიზიკურ არსებობას, არამედ ჩვენი სნეობრივი და სულიერი სამყაროც შეარყია და ბევრ ჩვენთაგანს უკადრებელიც აკადრებინა, თავზე ხელი აღებინა და ბევრმა თავმოძულებულმა არსებობის სხვა გზაც ნახა.

ადამიანი ისეა შექმნილი, ყოველნაირ გაჭირვებას ეგუება, მაგრამ ხელოვნურად, შეგნებულად, გამიზნულად ქვეყნის გაპარტახებას და დანგრევას ვერ შეეგუება. არადა, დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობს როგორმე შეგვაგუოს ამ ყოფას და უშუქოდ, უტრანსპორტოდ, უფულოდ არსებობის იმუნიტეტიც გამოგვიმუშავოს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მარტის „ისტორიული" სხდომის მერე ერთი-ორი დღე შუქიც მოგვცეს, ტრანსპორტიც გამოჩნდა (თვალში ნაცარი შეგვაყარეს, აქაოდა ესენგე რომ გავინაღდეთ, აწი ყველაფერი გვექნებაო) და ზოგიერთ მოქალაქეს მდგომარეობის გამოსწორების იმედიც კი გაუჩნდა, ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ამ იმედმაც ჩაილურის წყალი დალია და დაერჩით კვლავ უშუქოდ, უტრანსპორტოდ და რაც მთავარია, უიმედოდ.

აბა, რა იმედი უნდა გქონდეს კაცს იმ ხელისუფლებისა და იმ მთავრობისა, რომელიც თავის გადასაწყვეტ პრობლემებს თვითონ გაურბის და ცდილობს სხვა ქვეყანას (რუსეთს), თუნდაც რაღაც ქვეყნების გაერთიანებას (ესენგეს) გადააწყვეტინოს იგი და იმის მაგივრად, რომ რეალურად დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს, მათ „დუბინკებით" უმასპინძლდება და ხალხთან ლაპარაკსაც გაურბის.

ამ რამდენიმე ხნის წინ, უკვე მეორედ თუ მესამედ მივიდნენ მუდმივად უდენობით შეწუხებული ვარკეთილი-3 მცხოვრებნი პარლამენტის შენობასთან და ცდილობდნენ შეხვედროდნენ ქვეყნის ხელმძღვანელებს და თავიანთი გასაჭირი ეთქვათ. მოგეხსენებათ, ვარკეთილ-3 და დიდი დიღომის დასახლებები გაზიფიცირებული არ არის და ყველაფრით დენსა დამოკიდებული, დენი კი თითქოს არ მოდის, ან თუ მოვა, ათი წუთის მერე ისევ ქრება, ერთი-ორი საათის მერე ისევ გაჩნათლებს, ხუთ წუთში ისევ ჩაქრება და ასეა ითითქოს ყოველთვის. ზოგჯერ, როცა ვინმე-ნაბუსიანი თუ მორიგეობს ალბათ ოელასის სადისპეტჩეროში, მაშინ უკეთესად გვაძლევენ დენს, მაგრამ ეს ხდება ათასში ერთხელ. არადა, ყველას ჯრა აქვს იმის საშუალება, რომ შუშა იყიდოს, ლუმელი გამართოს, გაზი დაიდგას' და მოსახლეობის 'დიდი უმრავლესობა გაყინულ-გათოშილი ხვდება ღამესაც და დილასაც და ერთადერთი იმედი ისევ ბუნება თუა — ეგება დათბეს და შუამ გამოიხედოსო.

აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი რამდენჯერმე მივიდა ქვეყნის ხელმძღვანელებთან სალაპარაკოდ, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ხელისუფლებამ მათთან არც ლაპარაკი ისურვა, არც რაიმე იმედი მისცა და პირიქით, რატომ შეგვაწუხეთო, და ზოგიერთს (განსაკუთრებით აქტიურ ვარკეთილელს) „დუბინკაც" კი უთავაზეს თურმე.

სომხეთი რომ სომხეთია, სადაც ელექტროენერგიის უწვავესი კრიზისია და რომელიც, არ დაგავიწყდეთ, კარგა ხანია ესენგეს წევრია, ოქაც კი მკაცრი გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას დენი და იქაურმა კაცმა იცის, რომ ამ საათიდან იმ საათამდე მას დენი ექნება. ჩვენთან კი რა ხდება: მოვა დენი, მაშინვე ჩაქრება, მერე ისევ მოვა, ისევ ჩაქრება. ისევ მოვა, ისევ ჩაქრება... და ასეა უსასრულოდ. ამის შემხედვარე კაცი იფიქრებ და ირწმუნებ, რომ ეს თელასია თუ რაღაც ჯანდაბა და დოსანა, ნაღდად „გეაშაყირებს", მოსახლეობის ნერვებზე თამაშობს და ალბათ არც ხელისუფლებას უწევს კარგ სამსახურს. ასე გაწვალებული და გულგაწყალებული მოქალაქე, მოგეხსენებათ, ჯავრს თელასზე კი არ იყრის, იგი უპირველესად ხელისუფალთ შეუკურთხებს და ამ ზამთარს გადარჩენილი მომავალ არჩევნებში ხმას მას ნაღდად არ მისცემს. აი, ასეთ სამსახურს უწევს თელასი ხელისუფლებას, ოღონდ არა ქალაქის ცენტრში და ზოგიერთ უბანში, არამედ ვარკეთილში, დიდ დიღომში და ზოგ სხვა დასახლებებში, სადაც ალბათ ქალაქის მოსახლეობის ნახევარი მაინც ცხოვრობს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ასეთი ჩართვა-გამორთვებით ხომ გვიფუჭდება მაცივრები, ტელევიზორები, მაგნიტოფონები, წყლის გამაცხელებლები და სხვა, დიდი წვალებით ნაშოვნი და ნაყიდი ელექტროხელსაწყოები. ამას თელასი არას დაგიდეს, არც ხელისუფლება მოიკლავს თავს ამაზე ფიქრით. არადა, ნორმალური ქვეყანა რომ გქონდეს და ნორმალური ხელისუფლებაც გყავდეს, ყველა გაფუჭებული მაცივრისა და ტელევიზორის შეკეთების ხარჯს სწორედ თელასს ავკიდებდი კისერზე და თავებედსაც ვაწყევლინებდი (თუმცა ნორმალურ ქვეყნებში ყველაფერი ნორმალურად ხდება).

ამ წერილის დაწერით გულს-კი ვეიოხებთ, მაგრამ „წერე და იკითხე" პრინციპით მოქმედ ქვეყანასა და ხელისუფლებას, ალბათ, ამით ვერაფერთ შეასმენ, რადგან დღეს არათუ წერილის, პროტესტის უკიდურესი ფორმებითაც კი ვერ გაულღობ კაცი იმ გაყინულ გულს ხელისუფალთ, რომელიც უბრალო ხალხისთვის ნაღდად არა სცემს და „ბრალიანებისთვის" კი, იცოცხლეთ, გულთბილიც არის და გულუხვიც.

ერჩებით იმის იმედად, რომ ღმერთი და მისი შექმნილი ბუნება გაგვათბობს და გაგვაძლებინებს მომავალ არჩევნებამდე, რომ დიდი სიამოვნებით გადავუსვათ ხაზი იმათ გვარებს, ასეთ ყოფაში ვინც ჩაგვაგდო.

სერგო ჯანაშია

მკითხველთა წერილები

გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს
ბ-ნ ნ. გრიგალაშვილს
ბატონო რედაქტორო!

სიმპათია, რომელიც გაზეთ „საქართველოს" მიმართ მაქვს, ეს თქვენი რედაქციისა და ბატონ ნოდარ ნათაძის დამსახურებაა.

ვიცი, ჩემი წერილით არაფერი შეიცვლება საქართველოში და ჩემი ხმა დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ წაიკითხავენ მკითხველები და ცოტა ხნით მაინც ჩაფიქრდებიან თუ რა კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით, რასაკვირველია, თუ თქვენ ჩათვლით საჭიროდ, რომ იგი დაიბეჭდოს.

წინასწარ ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. რა თქმა უნდა, წერილს კორექტირება დასჭირდება.

პატივისცემით: მზია ბალავაძე.

კ/გაბმულობის სამინისტროს „საქკავშირმშენის" კ/გ უფროსი.

მე არ გახლავართ ტიტულებიანი და რეგალიებით დამშვენებული ქალბატონი, ჩვეულებრივი ქართველი ქალი ვარ და როგორც ბევრ ქალს, მეც მტკივა ის სატკივარი, რასაც საქართველოს აწმყო და მომავალი ჰქვია.

რა ხდება ქართველებო ჩვენს ბავს?!. ნავძირულვართ უზნეობის მორევში. და არც კი ვცდილობთ ამ მორევიდან თავის დაღწევას. ნუთუ ერთჯერ მაინც არ შეეკითხეთ საკუთარ გულს, თუ რა არის მიზეზი ყველაფერი ამისა. მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ დიდი ხანია აღარა ვართ ჭეშმარიტი ქრისტიანები. დაგვავიწყდა მოყვასის სიყვარული. დღეს, როდესაც საბჭოთა ლოზუნგების ლიკვიდაცია შეეძელით, ერთი ახალი ლოზუნგი მაინც გვჭირდება: „ქართველებო! არ მოჰკლათ ერთმანეთი!" საშინელებაა! საშინელებაა კიდევ ის, რომ ამდენი ლტოლვილი გვყავს საკუთარ მიწაზე. ვინ არის დამნაშავე? ჩვენ, ყველანი ერთად.

წლების მანძილზე გროვდებოდა ბოღმა, ზიზღი აფხაზებისაგან ქართველების მიმართ. წლების მანძილზე ვდუმდით, ვუვერებოდით, კომპრომისებზე მივდიოდით. რა უნდა მოჰკითხო იმ აფხაზს, თუ ისინი ჭეშმარიტი აფხაზები არიან, რომელსაც სკოლის მერხიდან უქადაგებენ ტეზისი: „ეს თქვენი მიწაა. ქართველებმა მოიტაცეს, ისინი დამპყრობლები არიანო". ჩვენ მაინც ვდუმდით. არ შეიძლებოდა მათი განაწყენება. შედეგი? შედეგად მივიღეთ საკუთარი მიწიდან გამოდევნილი ლტოლვილები, ზღვაში მოტივტივე გვამები, გადამწვარ-გადაბუგული აფხაზეთი, ულამაზესი მებრძოლი ვაჟების საფლავები, შეფურთხებული და შეურაცხყოფილი ცოცხალი ადამიანები. ამდენი გაუბედურებული ადამიანის ფონზე პარადოქსია გალაღებული და უზრუნველი ადამიანის დანახვა, თითქოს ეს ტრაგედიები სხვაგან, სხვა საქართველოში ხდება.

მივეჩვიეთ ქართველები საკუთარ ჯიბეში ცქერას, დავით გურამიშვილი „დავითიანში" მაცხოვარს აიქმევინებს:

„განიკითხავდეთ გლახაკთა, ასევე-აჭმევდეთ მშიერსო,

რასაც კეთილს იქმსთ მოგაგებსთ, ღმერთი თქვენ მის მაგიერსო"...

ამ რამოდენიმე თვის წინათ ძალიან გამიჭირდა მატერიალურად (არც ახლა ვარ დალხინებული), ჩემს მეგობართან მივედი და ვთხოვე ფინანსურად დამხმარებოდა. იგი შეძლებული და ნომენკლატურული პიროვნებაა. ეს ციტატაც შევახსენე „დავითიანიდან". იგი საგარეულში იჯდა და თავის მეგობარს, წინა სალამოს სტუმრების შესახებ უყვებოდა იუმორის ტონით, თუ როგორ შეუჭამეს ძმაკაცებმა და დაქალებმა ორი დედალი, მან მოიხსენია და თავის მეგობარს ჩვენი მასპინძლობა უთხრა: „გუუფრენია ამ უბედურსო". კაბინეტში კი წმინდა გიორგის სატი ეკიდა. მწარე სინანულით წამოვედი და მე იგი შემეცოდა, შემეცოდა იმ ორი დედლის გამო, რომელიც ძმაკაცებმა და დაქალებმა შეუჭამეს.

ჩემი წერილით, რასაკვირველია, არავის გულის აჩუყებას არ ვაპირებ (ან ვის აუჩუყდება დღეს გული, როდესაც გარშემო ამდენი გულგრილობა სუფევს), მაგრამ მაინც საიდან მოდის ქართველებო ამდენი მომაკვდინებელი ცოდვები: ამპარტავნობა, ანგარება, შური, მრისხანება, ნაყროვანება, სიძვა, კაცის კვლა. ნუთუ ყველას გაგვიწყდა შუბლის ძარღვი, რომელსაც მე ზნეობის ძარღვს ვუწოდებ? არაადამიანობაა, უზნეობაა, როდესაც კაცს საკუთარ სახლს გაუძარცვავ (ადრეც ხდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ასეთი გლობალური მასშტაბით — არა), მის საკლავს დაკლავ, ხიდებს ააფეთქებ, დაანგრევ და ნაცარტუტად აქცევ ყველაფერს, რაც წლობით აშენებულა, ტაძარს გაძარცვავ, ხატებს მოიპარავ, სპილენძის სადენებს მოიპარავ, ხე-ტყეს გაჩეხავ და ყველაფერს თურქეთის ბაზარზე გაყიდი. ამას ყველაფერს ისე გააკეთებ, რომ ძარღვიც არ შეტოკდება, ჰოდა საიდან შეტოკდება იგი, როდესაც გაწყვეტილია.

ესეც არ ეკმარეთ და ამჯერად ერთმანეთს დავერიეთ, ერთმანეთის გაულეტვა დავიწყეთ, თანაც ერთმანეთს ჩვენი „მოძმე" რუსეთის იარაღით დავერიეთ, რომელიც 'ასევე კარაქს, შაქარს, ჰურს გვპირდება და მომავალში შიდა ქართლსა და აფხაზეთსაც დაგვიბრუნებს(?!).

ღმერთმა ჰქნას, მაგრამ მაინც რა მიამტები ვართ ეს ქართველები!!!

მაგრამ არა მგონია და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამ ცოდვილიან მიწაზე ყველას ერთნაირად გვქონდეს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი და ყველანი უზნეობის მორევში ვიყოთ ჩაძირულნი, მაშინ ხომ მართლაც აღარ ეღირებოდა ცხოვრება.

მე ოპტიმისტი ვარ, ამიტომ არ მინდა ჩემი წერილი ტრიუიალური ტონით დავამთავრო. არ უნდა დაგვიწყდეს თუ რას გვასწავლის მაცხოვარი ჩვენი: „რომელი სასწაულითაც მიუსლავ, მოგესლვება შენ".

მჯერა, რომ ეს ამდენჯერული წყალიც დაიშრეტება, ყველაფერს თავისი სახელი დარქმევა და ჩვენთან სიყვარული მოვა. როდესაც სიყვარული მოვა, მაშინ ღმერთიც ჩვენთან იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხატვრო ფონდთან არსებულ ფერადი მინის საამქროს უფროსი თ. კიტოვანი (მარჯვნივ) და ბერავი ვ. გალიჩი

თარხან არჩვაძის ფოტო
ჟურნალი „დროშა“ 1980 წ. № 10

ეეჰ, ბატონო თენგიზ,
ყოფილიყავ მაგ საამქროში,
იქნებოდით მშვიდად თქვენც
და ჩვენც.
თორემ რა გამოვიდა?
სოლომონ მორბელაძის
თქმისა არ იყოს — მოატყუე,
მოგატყუეს და დავრჩით
სუყველა მოტყუებული...

ექვსი მცნება ამერიკის პრეზიდენტებისათვის და არა მხოლოდ მათთვის

პირველი გვერდიდან

პრინციპულობასთან. დრაკერის მიხედვით რეალობის ასეთ უგულებელყოფას აუცილებლად მივყავართ არაეფექტურ მმართველობამდე.

მცნება მეორე. მოახდინე უმოავრესზე ძალების კონცენტრირება, სხვას არ მიედ-მოედო. კითხვაზე „რა ვაკეთოთ“ შესაძლებელია რამოდენიმე პასუხი, და, ალბათ, ყოველი მათგანი თავის მხრივ სწორი იქნება. მაგრამ თუ პრეზიდენტი არ შეჩერდა ერთსა და უმთავრესზე, რაოდენ სარისკო და წინააღმდეგობრივიც არ უნდა იყოს ის, იგი ვერაფერს მიაღწევს.

მეორე მცნების საილუსტრაციოდ დრაკერს ფ. დ. რუზველტის მაგალითი მოაქვს. თავისი თეთრ სახლში ყოფნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში რუზველტი უგულებელყოფდა მსოფლიოს, თუმცა იმ დროისათვის უკვე არსებობდა გიტლერის საფრთხე (ჩვენი ერნესტ გრინის არ იყოს) და იაპონია კი იწყებდა თავის აგრესიას ჩინეთის წინააღმდეგ. 1938 წლისათვის სახელმწიფო ჯერ კიდევ ღრმა დეპრესიაში, ხოლო იზოლაციონიზმი კი გაბატონებული ტენდენცია იყო. უკიდეგანოდ — ოთხშის ერთ ღამეში — რუზველტი ინტერნაციონალისტად იქცა, „დიფეწყა“ რა შინაური საქმეები. სწორედ რუზველტის ინტერნაციონალიზმი (რასაკვირველია, არა პროლეტარული) დაეხმარა ამერიკას არა მხოლოდ ომში გამარჯვებაში, არამედ საყოველთაო დეპრესიიდანაც კი ამოათრია. 30 წლის შემდეგ კი ლინდონ ჯონსონმა, რომელიც ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა, იბრძოდა ვიეტნამში, აშშ-ში კი ზღვარგადასული სიღარიბის წინააღმდეგ, ორსაგი დამარცხება განიცადა. ვიეტნამის აგრესია სისხლში ჩაიხრჩო, ჯონსონისეული „დიდი საზოგადოების“ გეგმა კი დაინგრა.

უმაღლესი პრიორიტეტი — უკიდურესი აუცილებლობა. თუ ეს უკიდურესი აუცილებლობა არ არის უკიდურესად წინააღმდეგობრივი, ეს ნიშნავს, რომ იგი არც არის ჭეშმარიტად უკიდურესი აუცილებლობა, და ამდენად, არც უმაღლესი პრიორიტეტი, ე. ი. წინააღმდეგობრიობა — აუცილებლობებისა და პრიორიტეტების ლაჰეუსის ქაღალდია (აი, თურმე სად იყო მიხეილ გორბაჩოვის აქილევსის ქუსლი მისი გამუდმებული „ცენტრისა“ და კონსენსუსის ძიებით!). უმაღლესი პრიორიტეტი — უკიდურესი აუცილებლობა, მაგრამ იგი რეალურად ვახორციელებადი უნდა იყოს და ამასთან შეკვეცილ ვადებშიც. უნდა ჰქონდეს საკმაოდ კონკრეტული და შეზღუდული მიზნები, ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კიდეც, რომ ამ, თითქოს შეზღუდული მიზნის მიღწევა „ჯანსაღებას მოგვცემს“, ე. ი. მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არსებული მდგომარეობის უკეთესობისაკენ ცვლილებაში.

შედგა რა ფეხი რონალდ რეიგანმა თეთრ სახლში, გადაწყვიტა ინფლაციის ალაგმვა თავის უპირველეს მიზნად ექცია. მან მაქსიმალურად აქაჩა კრედიტების ეკონომიკური საღრიტხვო დონეები უაკულტუტის ნებისმიერ სტუდენტ-ახალგაზრდას შეეძლო მისთვის განემარტა, რომ ასეთი მიდგომა სერიოზულ დაცემას გამოიწვევდა. ასეც მოხდა. რამოდენიმე ხნის განმავლობაში უმუშევრობამ 7,5 %-დან 10%-მდე აიწია, ე. ი. მაჩვენებლამდე, რომელიც არავის ახსოვდა „დიდი დეპრესიის“ დროებიდან. მაგრამ ინფლაციის ალაგმვა აუცილებელი იყო, და რაც მთავარია, ამის გაკეთება სწრაფადაც შეიძლებოდა, რამაც თავის მხრივ რეალური „ცვლილება მოგვცა“. რეიგანის ამ უკიდურესად წინააღმდეგობრივმა გადწყვეტილებამ ჯერ ისტორიაში არნახული შრომითი დაკავების ზრდამდე მიიყვანა აშშ. პრეზიდენტი კი უზრუნველყოფილი აღმოჩნდა საზოგადოებრივი ნდობით, რომელიც მას თეთრ სახლში ყოფნის ბოლო წუთებამდეც კი არ დაუკარგავს. დრაკერის აზრით, კლინტონს შეეძლო ანალოგიური წარმატებებისათვის მიეღწია, თუ იგი უზრუნველყოფდა სამედიცინო დაზღვევით იმ 37 მილიონ ამერიკელს, რომელთაც ჯერს იგი არ გაჩნათ. მაგრამ იმის შაგივრად, რომ ხარისათვის რქებში ეტაცა ხელი (ეს უკვე ჩემი ფრაზაა, და არა მოსესი), კლინტონი პოლიტიკური ბატალიების შიშით, მთელი ჯანდაცვის საყოველთაო რეფორმაციის ჭაობში ჩაიძირა.

მცნება მესამე. არასოდეს იქონიო ნაღდი, უტყუარი საქმის იმედი. ეს ტყვია ყოველთვის ასხლეტით ხვდება. ჯორჯ ვაშინგტონის შემდეგ არავის ჰქონია ისეთი პოპულარობა, როგორიც ფ. დ. რუზველტს თავისი მეორე ინაუგურაციის დღეებში (1937 წელი, ავის მომტანი ჩვენთვის, როცა სტალინმა მიიღო შეუზღუდავი მანდატი მასობრივ დეპრესიებზე). რუზველტი რეკორდული უმეტესობით იქნა არჩეული და კონგრესის ორივე პალატას მთლიანად აკონტროლებდა. სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა პრეზიდენტს სვლა მიეცა იმ დიდი ხნის გეგმისათვის, რომელიც გულისხმობდა უმაღლესი სასამართლოს ხელახლა ფორმირებას საკუთარი წარდგინების ხარჯზე, რითიც უკანასკნელ ბარიერს მოხსნდა ახალი კურსის რეფორმათა გზაზე. თვლიდა რა, რომ ეს „ნაღდი საქმე“ იყო რუზველტმა არც კი შეამოწმა ახალი გეგმის პერსპექტივები, არამედ უბრალოდ გამოაცხადა იგი, რასაც მყისიერი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა: რუზველტმა დაკარგა კონგრესში უმრავლესობა, რომლის უკან ხელში ჩაგდებაც მან თავის უკანასკნელ დღეებამდე ვერაფრ შეძლო. რაღაც მსგავსი, უფრო შემცირებული მასშტაბებით კლინტონს უკვე გადახდა თავს, როდესაც იგი წინასწარი მოსინჯვის გარეშე შეეცადა გაეუქმებინა აკრძალვა შეიარაღებულ ძალებში ჰომოსექსუალისტთა სამსახურის შესახებ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა აღრიცხა ამერიკელთა ნდობის დაცემის რეკორდული ტემპი ახლადარჩეული პრეზიდენტების ისტორიაში. პირველ შემთხვევაში საზოგადოებამ ვერ დინახა ახალი კურსის წარმატებები, სასამართლოს რეფორმაციაში. მეორე შემთხვევაში კი პრეზიდენტის მოქმედება შეფასებული იქნა არა როგორც ჰომოსექსუალისტთა უფლებების დაცვა, არამედ როგორც შეიარაღებული ძალების მზადყოფნის ხელყოფის მცდელობა. მოგვიანებით ორივე პრეზიდენტისათვის ყოველივე ნათელი გახდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. დასკვნა: პოლიტიკა რისკის გარეშე არ არსებობს, ურისკო პოლიტიკა — ცუდი, არაქმედითი პოლიტიკაა.

მცნება მეოთხე. ქმედითი პრეზიდენტი არ არის დაკავებული მიკრომენეჯმენტით. სახელმწიფო მოღვაწის ღმერთი არადეტალებში, არამედ მთლიანშია. ამერიკის პრეზიდენტის მოვალეობები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მხოლოდ მაქსიმალურად ორგანიზებულ პიროვნებას შეუძლია მათთან გამკლავება. ამიტომ, პრეზიდენტმა, თუ იგი ვალდებული არ არის აკეთოს რაღაც, არც უნდა აკეთოს ის. იგი იმდენად შორს არის მოვლენებისაგან, იმდენად დამოკიდებულია მრჩეველთაგან თქმულსა თუ ართქმულზე, მეტად დაკავებულია იმისათის, რომ იცოდეს წარმატებული მაკრომენეჯმენტისათვის საჭირო კონკრეტული ფაქტური. ჯიმ კარტერის და ლინდონ ჯონსონის გამოცდილება ადასტურებს: თვითდისკრედიტირების უმოკლესი გზა გადის პრეზიდენტის საკუთარი პოლიტიკური კურსის აღმასრულებლად გარდაქცევის მცდელობებზე.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ამერიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ადმინისტრაციის მოღვაწეობაზე მთელი პასუხისმგებლობა საბოლოოდ მხოლოდ პრეზიდენტს ეკისრება. ამიტომ სახელმწიფოს მეთაურს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ გადამჭრელი „არას“ თქმა მიკრომენეჯმენტის ცდუნებაზე, არამედ მისი საამედო ხელში გადმოარბაც, პრეზიდენტს უნდა ჰყავდეს უმაღლესდონეზე დისციპლინირებული ხალხის ჯგუფი, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა გარკვეული საქ-

დასასრული მე-4 გვ.

ჯეკ მეთლოქი:

ძალით დამოუკიდებელი ვერავინ გახდება

პირველი გვერდიდან

— ბატონო ელჩო, ჩვენს მკითხველებს ალბათ დაინტერესებთ თქვენი აზრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს რუსეთში არჩევნების შემდეგ შექმნილი სიტუაცია.

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რა დასკვნებს გამოიტანენ არჩევნების შედეგებიდან რუსეთში მმართველი ძალები. თუ ელცინს განზრახული აქვს ნაციონალისტების გადმობირება მათზე უფრო შოვინისტური პოლიტიკის გატარებით, ეს მეტად საზიანო იქნება თავად რუსეთისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვისაც.

რაც შეეხება ეკონომიკას მე მგონი ელცინს შეგნებულად სურს მისი მდგომარეობის გაუარესება, რათა თავიდან მოიშოროს დღევანდელი მთავრობა. თუ დღევანდელი პოლიტიკა გაგრძელდა მანეთის კრახი გარდაუვალია და თუ ეს მოხდა, მაშინ უკვე შემოდგომაზე რუსეთს ახალი მთავრობა ეყოლება.

რეფორმისტებიც არ არიან უცოდველი. დღეს არსებული საგადასახადო სისტემის ფარგლებში პატხოსანი მეწარმეების მიერ გადასახადის გადახდა ეკონომიკური თვითმკვლელობის ტოლფასია, ამიტომ ისინი იძულებული არიან ყველა ღონე იხმარონ გადასახადების თავიდან ასაცილებლად, რაც პირდაპირ აგდებს მათ მაფიის ბრჭყალებში. მაფია კი თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუროკრატიასთან, კორუფციამ და კრიმინალურმა სამყარომ ხელთ იგდო თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატი და მაინც. რუსეთი ბევრ სფეროში სხვა ყოფილ რესპუბლიკებზე მეტად დაწინაურდა. პრესა თავისუფალი და ტელევიზია ნაწილობრივ თავისუფალი. მარტო ის რად ღირს, რომ ექსპრეზიდენტი ცოცხალია და მას არავინ დახდევს დასაჭერად.

საერთოდ რუსები მე ნიჭიერ ერად მიმაჩნია, მაგრამ მათ მუდმივ სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ მათი გადარჩენის გზა იმპერიის აღორძინებაში არ ძევს.

— ხომ არ ადასტურებს ელცინის ბოლოდროინდელი განცხადებები, რომ იგი სიამოვნებით უთმობს გენერალიტეტის ყველაზე აგრესიულ ნაწილს. არა მგონია, რომ მან იძულებით მიანიჭა დნეპრისპირეთში განლაგებულ მე-14 არმიის მეთაურს ლებედს არმიის გენერლის წოდება. ასევე ძნელია რაიმე სხვაობის შემჩნევა მის და გრაჩოვის გამონათქვამებს შორის.

— გეთანხმებით, რომ ელცინმა მართლაც გადადგა რამდენიმე სრულიად დაუშვებელი ნაბიჯი. თანაც არ შეიძლება ყველაფერი ეს სამხედროების მხრიდან დაწოლას დაბრალდეს. შარშან ოქტომბერში რუსეთის პარლამენტმა გრაჩოვის მაგვარად ახალი თავდაცვის მინისტრი დანიშნა, რაც არმიას გახლეჩით დაემუქრა. ამიტომ გრაჩოვის მიერ ელცინის მხარდაჭერა ელცინისადმი ერთგულებით კი არა, საკუთარი თავის გადარჩენის სურვილით იყო ნაკარნახევი.

— მართალია. ახლა შეიმჩნევა გარკვეული შემობრუნება, მაგრამ ამ ბოლო დრომდე იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი უპირატესობას სხვა ყოფილი რესპუბლიკების საზიანოდ რუსეთს ანიჭებდა. რა ნაბიჯებს გადადგამს დასავლეთი, თუ რუსეთში საბოლოოდ გაიმარჯვა ჟირინოვსკის ტიპის პოლიტიკოსმა და ეს ქვეყანა გახსნილად დაადგა ფართომასშტაბიანი ტერიტორიული აგრესიის გზას?

— მართლაც დღემდე ძირითადი აქცენტი რუსეთზე კეთდებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვაშინგტონს მიაჩნია, რომ იმაზე თუ როგორ განვითარდება რუსეთში მოვლენები, ბევრად არის დამოკიდებული სხვა რესპუბლიკების ბედი. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთში რეფორმებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო ვიდრე სხვა რესპუბლიკებში ბალტიისპირეთის გამოკლებით. ამერიკელებმა ძალიანაც რომ სურდეთ, არ იციან სახელმწიფო ეკონომიკის მართვა და არ ძალუძთ მისთვის ხელის წაშველება.

არა მგონია პირადად ჟირინოვსკი მოექცეს რუსეთის სათავეში. ამის საშუალებას მას მისივე პიროვნული თვისებები არ მისცემს. მან მოხერხებულად ჩაატარა წინასაარჩევნო კამპანია, მაგრამ არჩევნების შემდგომ მისი ქმედებები აშკარად არ [illegible] რუსების წარმოდგენას სახელმწიფოს მეთაურზე. რუსებს მაინც საქციელით თავდაჭერილი ლიდერები ურჩევნიათ და არა პარლამენტში მუშტიკრივის მოყვარული ჩხუბისთავები. დღეს დასავლეთმა კატეგორიულად უნდა უარყოს რუსეთის ნებისმიერი პრეტენზია ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე განსაკუთრებით სამშვიდობო როლზე.

ხოლო თუ რუსეთი საბოლოოდ დაადგა ტერიტორიული ექსპანსიის გზას, მაშინ ნატო დაუყოვნებლივ ჩართავს თავის თავდაცვით სისტემაში აღმოსავლეთ ევროპულ და ბალტიისპირა სახელმწიფოებს, გარკვეული უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს ალბათ უკრაინაც, რაც შეეხება ამიერკავკასიას, ყველაფერს გადაწყვეტს ამ რეგიონის სახელმწიფოთა შიდა სიტუაცია. თუ გაგრძელდა შეიარაღებული კონფლიქტები, დასალეთი ბევრს ვერაფერს შეძლებს — ბევრი იქნება დამოკიდებული აგრეთვე მეზობელ ნატოს წევრ სახელმწიფოზე, თურქეთზე.

რაც შეეხება შუა აზიას აქ დასავლეთი ნაკლებად მოინ-

დასასრული მე-6 გვ.

მეხუთე გვერდიდან

ექვსი მცნება ამერიკის პრეზიდენტებისათვის და არა მხოლოდ მათთვის

მიანობის სფეროში.

ამ მხრივ, დრაკერის მიხედვით, სამაგალითოა ფ. დ. რუზველტის ათი კაცისაგან შემდგარი მინისტრთა კაბინეტი, სადაც ყველა მათგანი, სახელმწიფო მდივნის გარდა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ტექნოკრატი იყო. „მე ვიღებ გადაწყვეტილებას და შემდეგ მის განხორციელებას ვავალებ კაბინეტის შესაბამის წევრს და აღარ ვერევი მის საქმიანობაში — ამბობდა რუზველტი. მისი გონის მოქმედება კი მართლაც რომ საოცრად ეფექტიანი იყო. საინტერესოა, რომ მიუხედავად გიგანტური ადმინისტრაციული ხარჯებისა, რუზველტის პრეზიდენტობამ გვერდი აუარა სავარაუდო ფინანსურ სკანდალებს.

რუზველტის შემდეგ პრეზიდენტები ოთხ უკიდურესობას აწყდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი ნიშავდა თეთრი სახლის შტატის ყოველისშემძლე ხელმძღვანელებს და აბარებდა მთ მაკრო— (და არა მიკრო-) მენეჯმენტს, სხვები კი, როგორც კლინტონი, აპრაალებდნენ მინისტრთა მოადგილეებს, მოადგილეთა თანაშრომლებს, სპეციალურ თანაშემწეთა მოადგილეებს და ა. შ. არც ერთი, არც მეორე, რასაკვირველია, სიკეთის მოტანი არ არის. პრეზიდენტს არ შეუძლია დაემალოს პასუხისმგებლობას თავისი „ალტერ ეგოს“ ან რუხი კარდინალის ზურგს უკან. მეორეს მხრივ კი, თუ ადმინისტრაცია ვეუდ იქცევა — მას დამბლა დაეცემა.

მცნება მეხუთე. პრეზიდენტს არ უნდა ჰყავდეს ე. წ. „ძმა-ბიჭები“ და მეგობრებიც კი ადმინისტრაციაში. ეს მცნება პრეზიდენტ ლინკოლნის გამოცდილებიდან მოდის. მათ, რომელთაც დაარღვიეს ეს მცნება, მოგვიანებით მწარედ ნანობდნენ ამას.

არავის შეუძლია და არც მოუალეა მთლიანად მიენდოს „პრეზიდენტის მეგობრებს“: ვისთვის მუშაობენ ისინი? ვისი სახელით ლაპარაკობენ? ვის დაქვემდებარებაში არიან? უკეთეს შემთხვევაში ეს მეგობრები მხოლოდ ირეკიან თავისი ბოსის გარშემო, უარეს შემთხვევაში — მათ მხოლოდ ენა მიაქვთ მასთან, და ყველაზე უარესი რაც შეიძლება მოხდეს — ისინი ბოროტად იყენებენ თავისი მდგომარეობის იმ უპირატესობებს, რასაც მათ „პრეზიდენტთან მეგობრობა“ აძლევს აქედან ფინანსური სკანდალები, განსაკუთრებული პრივილეგიები და ა. შ. მოკლედ ყველაფერი ის, რაც ძლიერ შელახავს პრეზიდენტის რეპუტაციას, მნიშვნელოვნად ზღუდავს მის მოღვაწეობას.

რასაკვირველია, პრეზიდენტობიც კი ჩვეულებრივი ხალხია. მაგრამ თავისი პრეზიდენტობის გამო იგი მარტოობისთვისაა განწირული. სწორედ ამიტომ გასაგებია მისი სურვილი იყოლიოს გარშემო მეგობრები, მითუმეტეს, რომ პოლიტიკური მოღვაწე უკვე განსაზღვრის თანახმად საზოგადოებრივი ცხოველია. აი, რით აიხსნება პრეზიდენტთა საერთო სისუსტე შეათრიონ მეგობრები თავის ადმინისტრაციაში და ის სიძნელეები, რომლებიც მათი მოცილებისას წარდება, როდესაც მეგობრები „გაფუჭდებიან“ — არაკომპეტენტურობის გამო, წინასწარგანწირასვით ან „არ გაამართლებენ ნდობას“. არის თუ არა ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი? არის. ამის მაგალითია ამერიკის ისტორიაში ყველაზე კომუნიკაბელური პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის გამოცდილება. თვით თეთრ სახლშიც კი იგი თავის, „ინტიმური“ მეგობრების წრით გარშემორტყმული დაძაბულ, მალალ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ არცერთი მათგანი (არც თანამეგოლეე, თანამონადირე და ა. შ.), არ მსახურობდა მის ადმინისტრაციაში. ასე რომ, ტედი რუზველტი ჩვენი ძველი ანდაზით ხელმძღვანელობდა: „Дружба дружбой, а служба службой“.

და ბოლოს, უკანასკნელი, მეექვსე მცნება. იგი გამომდინარეობს რჩევიდან, რომელიც ექსპრეზიდენტმა ტრუმენმა მსცა ახალგაზრდა პრეზიდენტს კენედის: „პრეზიდენტის პოსტზე არჩევისთანავე დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ საარჩევნო კამპანია“, ე. ი. საქმეა გასაკეთებელი.

ასეთია ამერიკული პოლიტოლოგიის მიხეს ექვსი მცნება. ისინი შეერიებულ შტატებში ძალაშია — ეს ეჭვგარეშეა. ეჭვიერობ, რომ ჩვენ, ცეცხლთაყვანისმცემლებმაც უნდა მივსდიოთ მათ. რასაკვირველია, მე ძხელეულობაში მაქვს პრინციპები, და არა მათი კონკრეტული შინაარსი. ასე მაგალითად, მეორე მცნების დაკონკრეტებისას დრაკერმა მოიტანა რეიგანის მაგალითი, რომელმაც ორი ბოროტებიდან — ინფლაცია და უმუშევრობა — უმცირესი, მეორე აირჩია. მე ვერ ვიტყვი, რომელია უფრო საშიში რუსეთისათვის. მინდა შევნიშნო მხოლოდ, რომ ამერიკას შეეძლო მიეცა თავისთვის უფლება და ჰყოლოდა 10%-იანი უმუშევრობა, ვინაიდან გამოკვებავდა მათ, ჩაქრობდა მათ დასანგრეველ, სოციალურ ხურვებს. თანამედროვე რუსეთს კი არ ძალუძს შეინახოს ისინიც კი, ვისაც სამსახური აქვს. ვის შეუძლია მოგვცეს იმის გარანტია, რომ ეკონომიკაში შოკური თერაპია არ მიგვიყვანს შოკურ ქირურგიამდე პოლიტიკაში?

სიდარიბემ უკვე მოახერხა რუსული დემოკრატიის კომპრომეტირება. ამ დღეებში მე გახლდით ბუენოსში, მარკ რასელის, ე. წ. ამერიკელი უორტფელო მიხეილ ყვანეკის კონცერტზე. რასელმა თავის ხუმრობებში არც ელცინისეულ რუსეთს აუარა გვერდი. მათგან ერთი, ყველაზე მძიმე და უტყეარი დამამახსოვრდა. „საოცარი ხალხია ეს რუსები, ყოველთვის რაღაც აკლიათ, ყოველთვის უკმაყოფილონი არიან. შედის ერთი ასეთი რუსი სასურსათო ჯიხურში, თაროები იმტვრევა პროდუქტების სიმძიმით, რუსი კი წუწუნებს. შედის საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიაში — იგივე სურათია. იგი კი კვლავ, წუწნებს. ბრუნდება სახლში და ცოლი გახარებული მიაგებებს — ცხელი წყალი მოგვცესო — რუსი კი კვლავ ნაწყენია: „მაინც, რითი სარ უკმაყოფილო?“ — გაკვირვებით ეკითხება ცოლი. „კომუნისტებისას რომ იყო, ისევ ისე ჯავიწყეთ ცხოვრებაო“. — პასუხობს იგი“.

თუმცა ზოგჯერ არამხოლოდ მცნებები, არამედ მაინ საილუსტრაციო მასალაც მეტად აქტუალურად ჟღერს. მაგალითად, ფ. დ. რუზველტის უმაღლესი სასამართლოს რეფორმირების მცდელობა. მეხუთე მცნება კი, გეგონებათ სწორედ ჩვენთვისაა გამოჭრილიო.

და მაინც, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მეექვსე მცნება. რუსეთი უკვე იხრჩობა გაუთავებელ არჩევნებსა და რეფერენდუმებში. საქმეს კი ხელს არ გაკეთებთ, თითქოს ხელები მხოლოდ აპლოდისმენტებისა და ხმის მისაცემად მოუციათ ჩვენთვის. ცეა-ტყეპისთვისაც აგრეთვე (გინდა თუ არა სოლეენიცინის „გმირი გახსენდება: ის ახერხებდა ყველა სიტყვის ერთი ძირიდან „ხელიდან“ წარმოებას.) და რაც უფრო უარესია... ჩვენ გვპირდებიან „სტაბილიზაციას“ და არა ოფლს, ცრემლსა და სისხლს, როგორც ამას აკეთებდა ჩერჩილი.

შეწყვიტეთ აგიტირება. მოსეს თავისი ხალხი 40 წლის განმავლობაში უდაბნოში დაყავდა, რათა მათ საბოლოოდ ჩამოებერტყათ მონობის მტვერი და ნაცარი. პრეზიდენტს ელცინს არა აქვს ეს ორმოცი წელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას 1996 წელს ხელმეორედ აირჩევენ (რატომაც არა? Своя рука (ნუთუ ისევ ხელი) — владыка), და მითუმეტეს... თუ რეზერვში არ გვაქვს ორმოცი წელი, არ დაარღვიო ექვსი მცნება.

---

* სავსებით შესაძლებელია, რომ რასელმა ეს ანეკდოტი რომელიმე ჩვენს ენაკვიმატს „მოპპარა“. [illegible] იმედი ვიქონიო, რომ არა ყვანეკის.

„ნეზავისიმაია გაზეტა“
04.12.93

მიმინა გოლუთიანი აჯტორია წიგნისა „დუღლი სიკეთისა და მორიგისა“, „ციკი“, ჯინოსცენარისა „მამისეული სახლი“.

აფხაზეთში ომის დაწყებიდან მის მოლო დღეემამდე ერთ-ერთ ფრონტს (არადუ-მერეკულა-ცაგერა) არ მოშორებია და იარაღით ხელში იცავდა ქართულ მიწას. ამასთანავე ჯალმით ათვალსირებდა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა აფხაზეთში.

ამ ავმედით ომში დაიღუპა მისი ერთადერთი ჭაქი მადრი, გადაუწვეს სახლ-ჯარი, ოჯახის სხვა წევრები გაუჩეკვეული მიმართულებით მიმოიფანტნენ.

მიმინა გოლუთიანმა მარტოდენ იმ ჩანაწერების გადარჩენა შესძლო, რომლებსაც იარაღთან ერთად თან ატარებდა. ამ ჩანაწერებმა ჯი სქელტანიანი წიგნი „ღია საფლავები“ შეადგინა.

გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალი წელს გამოსცემს მიმინა გოლუთიანის ამ ჯერეულ ნაწარმოებს, რომელიც მკითხველს უეჭველად დაიინტერესებს თავისი დოკუმენტური თხრობით და ამ ომის უშუალო მონაწილის ცხოვრებისეული ხედვითა და ტკივილიანი განცდებით. აჯტორი მოგვითხრობს არა სხვის ნაამბობს, არამედ მას, რაც თავს გადახდა და საკუთარი თვალით ნახა აფხაზეთის ომში.

ვაქვეყნებთ ცალკეულ ნაწყვეტებს მიმინა გოლუთიანის დოკუმენტური წიგნიდან „ღია საფლავები“.

ღია საფლავები

(1992 წ. 28 დეკემბერი)

სოფელს ღილის მძიმე ნისლი დასწოლოდა. სახლების სასურავებს წუხანდელი თოვლის ნაფოფქი ‘ატყია. კარიდამოებში ძაღლების ყეფა და ყმუილი ისმის.

სოფელში გუშინდელი მოკლული ალალმართალი ბიჭი წევს. მას ავთო ჰქვია. კუბოსთვის ფიცარს ეძებენ. ფიცარი დეფიციტი გახდა. ყველაფერი გაძვირდა, გარდა სიკვდილისა. სიცოცხლე და სიკვდილი გაშუდეებით დუელშია დასაბამიდან. თუ ერთი გაძვირდა, მეორე გაიაფდება.

ჰო, ეძებენ ფიცარს იქ ბიჭისათვის, სადაც თუ ზეგ მას მიწას მიაბარებენ. ბევრი ურტყა თავი კედელს მამამისმა. მერე გონზე რომ მოვიდა, იფიქრა, მოდი, თავს მოვიკლავ და ჩემს ავთოსთან ერთად დამმარხავენო. ასე გააკეთა სოხუმის დრამატული თეატრის ერთმა მსახიობმა, მასაც ერთადერთი ვაჟი ფრონტზე მოუკლეს ეშერაში, გამწარებულმა მამამაც თავი მოიკლა და... და რამდენიმე დღის შემდეგ თეატრიდან გამოაბეზღეს ორი კუბო, რომლებშიც იწვნენ მამა და შვილი ელერდაშვილები. ავთოს მამამ ავი განზრახვა გადაიფიქრა. ავთოს ორი ბიჭი დარჩა პატარები, უსუსურები, მათ აღზრდა უნდა, პატრონობა უნდა, ვინ უპატრონებს მის მეტი? და სიცოცხლემ დაამარცხა სიკვდილი.

დუმს სოფელი, სნაიპერი მაზანკის მხრიდან მაინც ისვრის, ისვრის უწესრიგოდ, ისვრის, ოღონდაც ვინმე მოკლას მისმა ნახრომმა ტყვიამ და სულერთია მისთვის როგორ ისვრის, ან საით ისვრის.

ქუჩის განაპირას ერთ სახლთან თოთხმეტტონიანი ავტოფურგონი დგას. იქ მისი მძღოლი ეშარი და კიდევ ერთი ბიჭი ფუსფუსებენ. ქუჩის გაყოლებით თბილად ჩაცმული ადამიანები, უმთავრესად ქალები დგანან. აქ-იქ კაცებიც ურევიათ, უმეტესობა ახალგაზრდები. მათ ქუჩაში გამოუწყვეტიათ ავტომობილი ბარგი-ბარხანა, ყუთებში ჩაწყობილი ხილი და ათასი რამ, სადაც მიემგზავრებიან, რაღაც მიაქვთ, ვინ რა მიზეზით მიდის არავინ იცის, ზოგმა გადაწყვეტა შვილები მოინახულოს, ზოგსაც გუშინდელი მოვლენების შემდეგ შეეშინდა, ზოგსაც აქამდეც ეშინოდა, მაგრამ აშკარად არ ამხელდა და მომენტს ეძებდა, რათა გახცლოდა საშიშროებას, იმას აღარ დაეძებდნენ, ვინ დაიცავდა მათ სახლ-კარს.

ფურგონი დაიძრა. მაგნატი რომ ლეკრნების აკრეფს მიწიდან, ისე ერთიც მიხლიდა ეზაზე მდგომი მგზავრები, ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ, ავტოფურგონი თითქმის გაიჭედა და გზას გაუდგა, მას სოფლის ბოლოში კიდევ ელოდებოდნენ მგზავრები... ავტომანქანა გაემგზავრა, მაგრამ...

მეორე მოსახვევში ხელმარჯვნივ ხანში შესული ქალი უახლოვდებოდა. ქალი იქნებოდა სამოც წელს გადაცილებული. ხელში ავტომატი „კალაშნიკოვი“ ისე ეჭირა, თითქოს ვოლაცას ან რაღაცას უმიზნებსო და გულდასმით ათვალიერებდა სამიზნეს, საკეტს, კონდახს. სცადა საკეტის მოზიდვა, მაგრამ საკეტი დამცველზე იდგა და დაცველის ჩახსნა კი ქალმა არ იცოდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ბეჭზე კონდახმიბჯენილი ქალი იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მოსახვევი მთავრდებოდა და ქუჩა იწყებოდა. ამ ქუჩაზე კი ზოზინით გადამკვეთ გზაჯვარედინზე ფურგონი მოდმუოდა. ქალი და ფურგონის მძღოლი ერთმანეთს შეეჯახნენ. ეშარმა, როგორც კი მისკენ მომავალი იარაღშემართული ქალი დაინახა, მანქანა დაამუხრუჭა, ქალმა მძღოლი იცნო და უბრძანა ფურგონის კარი გაეღო და გადმოსულიყო მანქანიდან. „ბრძანება“ უმალ შეასრულეს. ქალმა ისე რომ იარაღი მათკენ ჰქონდა მიმართული ბრძანება გასცა: „აბა, შარვლიანი ვინცაა, ყველა ჩამოვიდესო!“ პირველი თამაზი გადმოვიდა. ქალი თამაზს დააკვირდა, შემდეგ მისი მოერიდა, ამ კაცს სამი ოჯახი ჰქონდა დატოვებული დასაცავად, რადგან მისიანები საკმაოდ იყო გაქცეული და ზოგიც თავისიანებთან დასეირნობდა. თამაზ ცვარიანი კი დღე და დამ საგუშაგოზე იმყოფებოდა. ვერაფერს ვერ იტყვი და ქალმაც მას უთხრა, შენ ნუ ჩაჩოქალო, გეკუთვნის წასვლაო, სხვები, აბა ხეებთო და იკადრა ჩაბორძანება ეურიმ, რომელიც გვარიანად არიდებს თავს მისი კარ-მიდამოს დაცვას, მას სხვა ახალგაზრდებმაც მიბაძეს. ქალმა იგრძნო, რომ ამ ხალხთან მარტო ვერას გახდებოდა და ბახვა მოიშველია. კომენდანტიც წამოესწროთ, ჩვენც ჩავერიოთ და ვინც ვერ მოახერხა ქალების კალთებქვეშ დამალვა, ყველანი გადმოვსვით, მაგრამ ვინც ქალების კალთას ამოეფარა და მოახერხა ფურგონში დამალვა და გაპარვა, მათ სინდისზე იყოს ყველაფერი ის, რაც მათი არყოფნის დროს მოხდა არაღუში.

ისვრის სნაიპერი, მე მეგონა იქ ჭიანჭველაც ალარ დარჩა ცოცხალი, ნახევარი საათის შემდეგ კვლავ არხეინად დაგვიშინა. რა ჯადოქარი იცავს იმას, სად არის ჩამალული ვერავინ გაიგო, არადა მან ბევრი სიცოცხლე შეიწირა არაღუსა და მერკულაში.

მე არ ვიცი ვინ არიან იქ აფხაზები თუ ჩრდილო კავკასიელი კონფედერანტები. ერთი რამ კი ცხადია, ისინი თავდაცვითი ომის ოსტატები არიან. მოწყობილი აქვთ დაზვერვაც და მშვენივრად იცავენ ჩვენთან, ვინ რა მოხდება და ვინ რის გამკეთებელია, ჩვენთან ასეთი რამ ჯერ არაა. ამ დილით ბადრის და მის ძმაკაცებს ეეუბნებოდი, რომ დაიცვან ელემენტარული სამხედრო დისციპლინა. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შეეძლება შეაგროვოს დაზვერვითი მონაცემები. საგუშაგოები გაამაგრონ კარგად. თავდაცვით საქმეში ჩაბან ქალები (აფხაზებს ხომ თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალი შეიარაღებული ჰყავთ) და თუ ომია, ომი უნდა იყოს სრული დისციპლინით. არადა, ვინ, სად უნდა, იქით მიდის და ვის როგორ მოეპრანება, იმას აკეთებს. კონილი ჰყავთ მძეულად და ბრძოლის წინა ხაზზე ეს მძეულები გამოჰყავთ. ამასობაში ნელ-ნელა მეთოდურად ანადგურებენ არასასურველ პირებს და მათ ქონებას. სტრატეგიული სოფელი არათუ ჯერჯერობით მტკიცედ ინარჩუნებს თავის პოზიციებს, მიუხედავად ზოგიერთი მაცხოვრებლის თაღლითობისა, ძირითადი მასა ახალგაზრდობისა მედგრად იცავს სოფლის მისადგომებს.

29 დეკემბერი

ღღეს ავთო მიწას მიაბარეს. დედის გვერდით დაასაფლავეს.

ავთო ამ დღეებში იმაზე ფიქრობდა, რომ კოჩარაში დალუპულ სიმაერი და ცოლისძმა არადუს სასაფლაოზე გადმოესვენებინა და ეპატრონა, რაკი კოჩარაში ალარავინ ეგულებოდა საფლავის მიმსვლელი. არ დასცალდა, კოჩარა კი ერთიანად წაიბილწა. აგერ რამდენი ხანია უტევენ, ხან ლაბრის, ხან ცხენისწყლის მხრიდან, მაგრამ აფხაზებს მაგრად აქვთ გამაგრებული კოჩარის მისასვლელები, თანაც ბევრი მხარდამჭერი ეზულებათ კოჩარაში. ამბობენ, საეკეოსათვის მათ ხელი არ უხლია, მხოლოდ ეგაა, ოურმ ... მანდარინს აკრეფინებენ. ... დღეს ერთი იქური ამბების საკუთარი თვალით მხილველი ახალგაზრდა ვნახე. აი, რა გვიამბო მან: „ჩვენს დასახლებაში (იგულისხმება კოჩარის მეცამეტე და მეთოთხმეტე ბრიგადები, რომლებიც ძირითადად დასახლებული არიან საჩხერლებით და ვანელებით და ესაზღვრება სოფელ ჭლოუს და გვადას) შემოიყვანეს დაახლოებით სამოცდათხუთმეტამდე გვარდიელი თუ მხედრიონელი. დანარჩენი გვარდიელები სამასამდე კაცი კოჩარის ცენტრში, სკოლაში განლაგდა. თავდასხმამდე ორი დღით ადრე ჩვენ „გვეწვია ოჩამჩირის კომენდანტი და მოინახულა პიკეტები. მათი ადგილსამყოფელი თავის რუკაზე გადიტანა. ჩვენ იარაღი მოვთხოვეთ, მაგრამ კომენდანტმა უარი გვითხრა, არადა მთელ დასახლებაში მხოლოდ რვა კაცს ჰქონდა ავტომატური იარაღი. მეორე დღეს ის სამოცდათხუთმეტი კაცი (გვარდიელები), რომელთაც ეევალებოდათ დასახლების დაცვა, პიკეტიდან მოხსნეს და ცენტრში გადაიყვანეს. მათი წასვლა მეორე დღეს, როცა დაღამდა, დასახლებას მოულოდნელად შემოუტიეს აფხაზებმა ჭლოტხა და გვადის მხრიდან. უტევდნენ ავტომატური იარაღით და უმეტესად გრანატმტყორცნებით. მე მანქანა მზად მყავდა, თან სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული და ცენტრში გავიქეცი ამბის შესატყობინებლად. როცა გვარდიელებს მოვახსენე, თუ რა მოხდა ჩვენს დასახლებაში, ორი გვარდიელი მსარში ამომიდგა და თოფი ჩამომართვეს, მე კი დაშავატიმრეს და მითხრეს, შენ ხალხს პანიკაში აგდებო. გავიდა რამდენიმე წუთი და ჩვენი დასახლებიდან მეორე ჩემი მიზობელი მოვიდა შეშფოთებული, დასახლება უკვე აიღესო, მაშინ მთელი გვარდია (სამასზე მეტი კაცი) ადგილიდან მოწყდა და ოჩამჩირეს გაეშურა. მხოლოდ ის რვა კაცი იგერიებდა მათ საათნახევრის განმავლობაში, როცა ტყვიები შემოელიათ დანებდნენ, ისინი იქვე დახოცეს.

როცა ავტომატშემართული ვამოწმებდი წყალტუბოში მიმავალ ავტოფურგონს, რამდენი ვინმე ცოლის კაბას აფარებდა თავს. ის კაციც დაიჩემებს კაცი ვარო? აფსუს... ასეთები და თავის ჭკუაზე მოხეტიალენი ჩვენთან ბევრნი არიან. მათ არ უნდათ არც ერთიან ჯარში შესვლა, არც მკაცრი სამხედრო დისციპლინა აწყობთ, თვალი უფრო სხვა რამეზე უჭირავთ. რა დასამალია და ასეთებმა ძალზე გაუტეხა სახელი გვარდიას, მხედრიონს, ყველას,

ძლიერ გვატკინა გული ჩვენი ვერტმფრენის ჩამოგდებამ და იქ ჩვენი საუკეთესო მფრინავის ჯიმი მაისურაძის დაღუპვამ. ასეთი მფრინავები ჩვენ თითზე ამოსათვლელი გვყავს, მტერი კი, როგორც ჩანს, ძალას კი არ ჰკარგავს, არამედ იკრებს.

არადუს დღეგანდელი ამბები კოჩარის მიმართულებით გამუდმებულმა სროლებმა დაფარა დილიდანვე. დღეს შუქი ისევ გამოირთო, სადღაც ხაზი ისევ ტყვიამ გაწყვიტა, ინფორმაციას ვერ ვღებულობ, თუმცა ისეთი ინფორმაციის მოსმენა, როგორიც წუხელ გადასცეს „ვესტი“, არც კი დირს. მოსკოვმა მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ აფხაზმა „მოეკვეკებმა“ გუშინდელი ბრძოლების დროს აიღეს ქალაქი ოჩამჩირე. საცოდავი ოჩამჩირე... ეს მეორედ „აიღებინეს“ აფხაზებს. სინამდვილეში ჩვენ აქა ვართ და ვიცით ოჩამჩირის ამბავი.

ჯეკ მეთლოქი:

ძალით დამოუკიდებელი ვერავინ გახდება

მეოთხე გვერდიდან

დომებს ჩარევას.

— თქვენ ახსენეთ უკრაინა, მაგრამ გვერდი აუარეთ ბელარუსს, რომელსაც აგრეთვე გააჩნდა უკრაინის მსგავსი ბერკეტი — ბირთვული იარაღი. ის, რომ დასავლეთი მზად არის უშიშროების გარანტიები მისცეს უკრაინას და არა მის მეზობელ ბელარუსს, ჩემის აზრით, ნათელი დასტურია იმისა, თუ რა ოლს თამაშობს თავად ყოფილი რესპუბლიკების მიერ გატარებული აქტიური დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

— რაც შეეხება ბელარუსს, მე ვიტყოდი რომ ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი ძირითადად არ ემხრობა დამოუკიდებლობის იდეას. ეკონომიკური კრიზისის ფონზე უმრავლესობას გაუქრა დამოუკიდებლობის სურვილი. ამის გამოვლინება იყო შუშკევიჩის გადაყენება და რუსეთთან თავდაცვითი ხელშეკრულების დადება. მიუხედავად დანარჩენი მსოფლიოს სურვილისა, ძალით დამოუკიდებელი ვერავინ ვერ გახდება.

— რადგან საგარეო პოლიტიკურ აქტიურობას შევეხეთ, მინდა ერთი ისტორიული ფაქტის განმარტება მივიღო თქვენგან. 1991 წლის გაზაფხულზე საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ოთაურებთან ერთად თეთრ სახლში დაპატიჟეს, როგორც ამერიკის კონგრესის სტუმარი, მაშინ მან გამგზავრებაზე უარი სთქვა და მოიხოვა, რომ იგი მოეწვიათ ოფიციალურად როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური. ამერიკული მხარე დათმობაზე წავიდა და დასთანხმდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ჰქონდა ნახევრად ოფიციალური სასიათი, ეს საქართველოსთვის დიდ დიპლომატიურ გამარჯვებას უქადდა. შემდეგ ვიზიტი ჩაიშალა. თქვენზე უკეთ ალბათ არავინ უწყის თუ რამ გამოიწვია ვიზიტის ჩაშლა.

— მართალი გითხრათ, ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ დეტალებს. ერთი რამ კი უნდა ითქვას. გამსახურდიას არჩევის შემდეგ საქართველოში ბევრი პრობლემა შეიქმნა.

ადგილი ჰქონდა უკანონო დაპატიმრებებს, გაიზარდა ეთნიკური დაძაბულობა, სახეზე იყო სამოქალაქო ომის დაწყების ნიშნები, სულ უფრო იზღუდებოდა პრესის თავისუფლება. არაფერს მსგავს არ ჰქონდა ადგილი ბალტიისპირეთში. ასეთ პირობებში ამერიკის მთავრობა ვერ ჩათვლიდა საქართველოში მმართველ რეჟიმს დემოკრატიულად, როდესაც 1991 წლის აგვისტოში უკრაინის პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, დამოუკიდებლობა დემოკრატიას ყოველთვის არ ნიშნავსო. მას სწორედ საქართველო ჰყავდა მხედველობაში.

გამსახურდიას ბედი პირადი ტრაგედიაა. მას მე ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელობის პერიოდიდან ვიცნობდი. მაშინ მისმა დაპატიმრებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ დასავლეთში დღემდე ვერ აუხსნიათ თუ რამ გამოიწვია მის მიერ საჯარო მონანიება. შეიძლება ქართველებმა იციან თუ რა იყო ამის მიზეზი. რა თქმა უნდა, იგი დიდ დაწოლას განიცდიდა, მაგრამ ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლთა უმრავლესობა არ გატყდა,. მაგალითისთვის გავიხსენოთ ჩორნოვილი, გლებ იაკუნინი ან კოსტავა.

— რა აზრის ხართ ეს-ენ-გეს მომავალზე?

— ჯერჯერობით ამ წარმონაქმნს სიცოცხლის ვერავითარ ნიშანს ვერ ვატყობ, რა თქმა უნდა, აუცილებელია გარკვეული ეკონომიკური კოორდინაცია, მაგრამ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ეს-ენ-გე გარდაიქმნას ევროპული კავშირის მსგავს სტრუქტურად. მეტად განსხვავებულია მისი შემადგენელი ნაწილები. ეს არის უკრაინა, რომელშიც ჯერ არც უფიქრიათ რეფორმის დაწყება, ნაწილობრივ რეფორმირებული **რუსეთი თავისი იმპერიული ამბიციებით, კონფლიქტებით** დაჩხეული საქართველო, უზბეკეთი, რომელსაც ძველებურად კომუნისტები მართავენ. თავისი უთვალავი პრობლემებით, თურქმენეთი კომუნისტური მმართველით, რომელსაც არავისგან არაფერი სჭირდება. შეუძლებელია ამ ქვეყნების ინტერესების ერთ ორგანიზაციაში შეჯერება.

— როგორ აფასებთ სხვადასხვა ჯურის სეპარატისტული მოძრაობების წარმატების შანსს. ბევრს მიაჩნია, რომ თქვენი ელჩობის პერიოდში ამერიკელები ყარაბაღის კონფლიქტში სომხებს მიემხრენ და ამან ხელი შეუწყო სეპარატისტული განწყობის გავრცელებას.

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დასაწყისში სომხების მიმართ ჩადენილი იქნა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები და ამან გამოიწვია ამერიკის კრიტიკული რეაქცია. ამის შემდეგ სომხებმაც დაუშვეს სერიოზული დარღვევები, რაც ვაშინგტონს არ გამოპარვია. დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ სომხებმა განაგრძეს ომი, მათ გარდაუვალი დაღუპვა ელით. წარმოუდგენელია, რომ სომხეთმა აჯობოს აზერბაიჯანს და თურქეთს ეროად ან ირანს, რაც შეეხება საქართველოს, სეპარატისტებმა მართლაც ისარგებლეს ქვეყნის შიგნით არეულობით. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკამაც შეუწყო ხელი ექსტრემისტებს. თბილისს მეტი თავდაჭერა მართებდა. ამ მხრივ მე რუსეთის პოლიტიკა საკუთარი ავტონომიების მიმართ უფრო გამართლებულად მიმაჩნია. ჩეჩნეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ მას არც ახლა და არც მომავალში არავინ სცნობს და საბოლოო ჯამში იგი რუსეთს მაინც ვერსად გაექცევა.

— ჩემის აზრით, რუსეთის მაგალითი ჩვენთვის არ გამოდგება. **რუსეთის გახლეჩვით არცერთი მეზობელი არ არის დაინტერესებული, თანაც მას ყოველთვის ეყოლება საკმარისი სამხედრო ძალა ჩეჩნეთის დასამორჩილებლად. საქართველოში კი სეპარატიზმის ძირითადი ხელშემწყობი ძალა უცხოური წარმოშობისაა.**

— შეიძლება ეს ასეც არის, მაგრამ ვიმეორებ, საქართველოს მეტი თავდაჭერილობა მართებდა, რათა არ მიეცა პროვოკაციის საბაბი. **ასეთ დროს მნიშვნელოვანია თუ ვინ მიმართავს პირველად ძალას.** თუმცა ახლა ალბათ უკვე გვიანია ამაზე ლაპარაკი.

ორიოდე სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის საბოლოო სიტყვის შესახებ

პირველი გვერდიდან

ვოყავი ყაჩაღი, ქურდი და ხალხს ვავიწროებდი, ვძარცვავდი. ამას ლაპარაკობენ ეს ცრუინფორმატორები, მაგრამ დოკუმენტალურად კი ვერ ასაბუთებენ.

თქვენ მიმტკიცებთ, რომ თურმე იმ 12—13 წლის განმავლობაში მე სპარსეთში კი არა, აქ — საქართველოში ვყოფილი და არა მარტო ჩემს სოფელს, არამედ თურმე მთელ საქართველოს ვაწიოებდი-ვატრალებდი. ასეთი ყაჩაღი ვყოფილი და დამიტკიცეთ დოკუმენტალურად ერთი ფაქტი, დამისახელეთ ერთი გვარი იმ ოჯახისა, ან იმ კაცისა, რომელიც მე გაძარცვე და მოვკალი. ეს ცრუინფორმატორები თავისი სინდისის წინააღმდეგ გამოდიან და აქ სინდისს ჰყიდიან. არის ხალხი, რომელიც სინდისით სპეკულირობს. თუ მე ქურდი და ავაზაკი ვყოფილი, 1921 წ. შემდეგ ძალიან სპასუხისმგებელი ადგილები მქონია, ჩემს ხელში მილიონები გადიოდა და რატომ არაფერი მოვიპარე? 12 წელიწადი „სამტრესტში“ ვმუშაობდი, ხან საწარმოოს გამგედ, ხან დირექტორის მოადგილედ და ხანაც ქარხნის გამგედ. ჩემს ხელში ამდენი ქონება გადიოდა, მაგრამ ერთი კაპიკისა არა დამკლებია რა. თვით განსვენებულმა ფ. მახარაძემ შეამოწმა ჩემი მუშაობა და სთქვა — „საკირველია, უსწავლელი კაცია და არაფერი აკლია“-ო, მაშინ როდესაც ათიოდე დირექტორი გამოვიცვალეთ, უფრო ბრტყელმანდატიანები, რომლებიც ხალხის მტრები აღმოჩნდნენ და რომლებმაც ხალხის ქონებით სასახლეები აიშენეს. გ. ბერბიჭაშვილს კი ოთხკუთხიანი ოთახი ენატრება, სამკუთხიან ოთახში ცხოვრობს, მიბრძანდით და ნახეთ!

თუ მე ასეთი ქურდი და ყაჩაღი ვყოფილი, როგორიც თქვენ გამხადეთ, ამოდენა ქონებაში ხელს ვურევდი და ვერ მოვიპარავდი? რა საჭიროა ზედმეტი ცილისწამება? ამოდენა კაცი ვარ და ჩემთვის ჯერ საყვედური არ უთქამს პარტიას. აი ჩემი პირადი საქმე გადასინჯეთ, სარკესავით სუფთაა, არც ერთი შენიშვნა და არც ერთი საყვედური არ არის შიგ.

დაიკვლიეთ ილიას მკვლელობა, იმ დიდი ილიისი, რომლის სიდიადეც მე დღეს შეეგვინო ოქვენის დახმარებით. მე დღეს გაიგე თუ ვინ იყო ილია ქართველი ხალხისთვის, თუ რა ლეწვლი მოუტანეს მას ქართველი ხალხის წინაშე. ეს რომ დასაკვეხი ყოფილიყო, მე ვიცოდი სადაც უნდა დამკვეხნა და სადაც დამაწინაურებდნენ. მე თვით ჩვენ „სოფარკომთან“ — ვ. ბაქრაძესთანაც მიმუშავია და მასთან ან პურის ჭამაში, ან ღვინის სმაში როგორ არ ნამოცდებოდა.

მე ფიქრს ვიზიარებ თუ ვინ იყო ილია და რა ვერაგობა და ხარბზღრობა იყო მისი მკვლელობა. განა ეს არ არის საკმარისი სასჯელი, რომ ზედმეტი ცილისწამებით უფრო არ მსჯიდეთ?..

მე გითხოვდით, რომ ეს ზედმეტი ბრალდებები ჩემი თავიდან აბაშოროთ. ჩემდა საუბედუროდ, ამ ფაქტის უშუალო მონაწილეებიდან არც ერთი აღარ არის ცოცხალი, რომ გამორკვეულიყო ჩემი სიმართლე. მე შემთხვევითი მსხვერპლი ვარ. ისინი რომ აქ ყოფილიყვნენ, მაშინ პატ. პროკურორი ოვიოინ მეტყოდა — „წადი აქედან, შენ მართალი ხარ-ო“. პატ. პროკურორს სურს ამ ხეოიეს სასჯელი მე მოვაცეს და ეათი ბრალდებებიც ჩემგან ამოიღოს.

ეს შავი რეაქციის ნაშთი ყარამან ფალავა აქ გამოდის და ამბობს, რომ გ. ბერბიჭაშვილი მავნე ადამიანი იყოო. საწყენი ის არის, რომ არც ერთი აქ დასწრეთაგანი არ ეკითხება — ვისთვის იყო გ. ბერბიჭაშვილი მავნედიან, მე მავნე ვოყავი ყ. ფალავასა და მისი საყვარელი მაშინდელი მთავროპისათვის, რომლისგანაც ყ. ფალავას მკერდი ჯვარ-მედლებით ჰქონდა სავსე _ და რომელიც მე მდეკნიდა. იგივე ფალავა ამბობს, რომ მე ქურდი და ყაჩაღი ვოყავი, მაგრამ მას, როგორც „უეზდის ნაჩალნიკს“ ვერც ერთი ფაქტიდოკუმენტი ვერ მოჰყავს ამის დასამტკიცებელ. ვერც ერთ ოჯახს ვერ ასახელებს ჩემგან აწიოკებულს.

აქ პატიოსანმა პროკურორი და ყ. ფალავა ერთმანეთს შეეკავნენ, წინააღმდეგობაში ჩავარდნენ. ყ. ფალავა აღნიშნავს, რომ მას მეფის „ოხრანკამ“ ჩეს დასჯერად 100 მანეთი მისცა. ამავე დროს პატ. პროკურორი აღნიშნავს, რომ მე მეფის „ოხრანკის“ აგენტი ვარ და მეფის „ოხრანკის“ დავალებით მოვკალი ილია ჭავჭავაძე.

თუ მე მეფის „ოხრანკის“ აგენტი ვოყავი, რადათ მისცა „ოხრანკამ“ ფალავას ფული ჩეს დასჯერად და რაღას მეტბდა მე მეფის „ოხრანკა“?

დასასჯელი უნდა დაისაჯოს ყველამ თავისი სასჯელი უნდ[illegible] მოიხადოს, მაგრამ სასჯელი მ[illegible] ვალნირია. მე მგონი, არც თქვ[illegible] არც პატ. საზოგადოება და არ[illegible] თვით „დიდი ილია, რომელსაც ხალხმა თავს დადგა დაფნ[illegible] გვირგვინი, არ ისურვებდა, რ[illegible] მისი დაფნის გვირგვინის მწვ[illegible] ფოთოლი სხვლის წვეთით შეღ[illegible] ბილიყო“.

ი. ოდიშვილი — რას თქვ[illegible] სასამართლის?

გ. ბერბიჭაშვილი — რ[illegible] შეიძლია ვთხოვო? მე გთხოვდ[illegible] მიღელოთ მხედველობაში ჩემი ხან[illegible] მოხეცებულობა, ის, რომ ჩემ[illegible] შვილი ფრონტზეა და მედგრ[illegible] იცავს საშობლოს. მე შემეძლო ა[illegible] გამეშვა ჩემი შვილი ფრონტზ[illegible] არის ამის კანონი, მაგრამ მე თვ[illegible] გავუშვი ის, და ვუთხარი, რ[illegible] მედგრად და თავდადებით დაიცვ[illegible] სამშობლო. ნუ დანახავთ ჩემ[illegible] უბედურებას ჩემს ცოლ-შვილს [illegible] მათ რომ გავშორდები, მაშინ რ[illegible] მომიკვდა, არ დაეკარგ. ჩემი სიკვდ[illegible] ლის შემდეგ ჩემს ცოლ-შვილ[illegible] საპატიოდ და ხელგასაშუ[illegible] გაუხდეთ საქმე“ (1942 წ. [illegible] ივნვარი).

ასე დაიწერა გ. ბერბიჭაშ[illegible] ლის საბოლოო სიტყვა ჩემს მ[illegible] არა სასამართლო პროცესის მ[illegible] დინარეობაში, არამედ საბოლ[illegible] სხდომის დამაყრებისთანავე.

ეთერ ბაბრატიონი
მედიცინის მეცნ. კანდიდატ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან: ეს დო[illegible] მენტი, მიუხედავად ბერბიჭაშ[illegible] ლის ვირეშმაკობისა, დიდად [illegible] ინტერესოა იმ თვალსაზრის[illegible] რომ ბრალდებული ამ თავ[illegible] „დამზღვევ“ სიტყვაშიც გამ[illegible] ყდა მისდაუნებურად. ფაქტ[illegible] რად განმკვლელობის დავალ[illegible] ბის მიმცემნი ამ სიტყვებ[illegible] გათქვა (რომ არაფერი ეთქ[illegible] წინა ჩვენებებზე): „ეს რ[illegible] დასაკვეხნი ყოფილიყო, მე [illegible] ცოდი სადაც უნდა დამკვეხ[illegible] და სადაც დამაწინაურებდნ[illegible]

ილიას მკვლელობისთვ[illegible] როგორც ნანს, [illegible] უბირი კ[illegible] პარტიისაგან. კიდევ მეტ დ[illegible] სებას ელოდა, ვიდრე დაუ[illegible] ესს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი გარდაქმნა

ზბიგნევ ბზეჟინსკი

სახეცვლილი მოძალადე

(გაგრძელება, დასაწყისი „საქართველო“ №6)

მესამე, გაურკვეველი კატეგორიიდან, რუსეთი, რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანია. არ შეიძლება არ ვაღიაროთ ზოგიერთი დადებითი მიმართულება ამ სახელმწიფოს აწ მიმდინარე განვითარებაში. კონსტიტუციის პროექტის შექმნის საქმე წინ მიიწევს, თუმცა, დიდი სიძნელეებით. რასაკვირველია, იყო ზოგადი დემოკრატიზაცია, განსაკუთრებით რუსული სახოგადოების ზედა ფენებში. მთელ რიგ დიდ ქალაქებში დემოკრატია ოპერატიული რეალობაა, თუმცა მას აკლია ჭეშმარიტი ინსტიტუციონალიზაცია. იყო აგრეთვე ეკონომიკის ერთგვარი პრივატიზაცია და მისი სტაბილიზაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები, აგრეთვე უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, ორივემ — პრეზიდენტმა ელცინმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა კოზირევმა მოინდომეს ტრადიციული იმპერიული მისწრაფებების დაგმობა, რიტორიკული სახით მაინც — წყვეტდნენ რა ამით კავშირს წარსულთან, რაც სხვა შემთხვევაში ხელს შეუშლიდა ჭეშმარიტ დემოკრატიზაციას. არის საწინააღმდეგო დინებებიც. ეკონომიკური ქაოსი რეალობაა. არ არის ქმედითი ფულადი პოლიტიკა, ინფლაცია კვლავ არაჩვეულებრივად მაღალია, უმუშევრობა იზრდება. მთავრობის მითითებები დაყვანილია რამოდენიმე მეტროპოლიურ ცენტრამდე და არ ვრცელდება მთელ სახელმწიფოზე. არ არის პოლიტიკური ერთიანობა და თანამიმდევრულობა. პრივატიზაცია ითვლის მხოლოდ 50 ათასს, რუსეთის დაახლოებით 300 ათასი მცირე მაღაზიიდან. პრივატიზებულთა უმეტესი ნაწილი განლაგებულია მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და ნიჟნი ნოვგოროდში. 6) არის დასავლეთის ფონდების და დახმარების მასიური არამიზნობრივი გამოყენება კარგად გამაგრებული ნომენკლატურისა და საშუამავლო კლასის წარმომადგენლთა მიერ. შესაძლებელია, უმეტესობა ახალი კაპიტალისტებისა ფლობს იმ პარაზიტულ სიმდიდრეს, რომელიც მიმართულია შიანთქმისაკენ და არა მომგებიანი დაბანდებებისაკენ.

ეკონომიკურ სურათს ამძიმებს აგრეთვე იმპერიულ მისწრაფებათა სწრაფი განახლება, რომელიც გაზრდის უკრაინასთან დაპირისპირების შესაძლებლობას და აგრეთვე წარმოშობს პრობლემებს სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური მუხრუჭებისა და საშუალო ზენოლის გამოყენება იმისათვის, რომ არაფორმალურად შენარჩუნებული იქნას კრემლის ყოფილი იმპერიული სტატუსი. საკმაოდ სიმპტომატურია მოსკოვის მხრიდან კიევის დამოუკიდებლობის აღიარების გაჭიანურება. ამ ფაქტზე ერთ-ერთი წამყვანი რუსი პოლიტიკოსის აგდებული სიტყვით რომ ვთქვაფ (რომელიც მე მითხრეს 1993 წელს), უკრაინა იყო „იხ პირობითი რამ, სახელად უკრაინა“. ყოველივე ეს ამართლებს და წარმოქმნის მომავალში ერთგვარ დაურწმუნებლობას. შესაძლებელია ველოდოთ თანამიმდევრულ დემოკრატიზაციას. მაგრამ არამყარ რეფორმათა კონტექსტში, რომელთა დროს არის პერიოდული გაძლიერებული ანარქიული ფაზების წარმოქმნის რისკი — ასე იქმნება ცდუნება დროდადრო ავტორიტარული გადაწყვეტილებების აღდგენისა. შედეგად, რუსეთი არ მიეკუთვნება არც პირველ და მეორე კატეგორიას, არამედ უნდა გაერთიანდეს მესამე კატეგორიაში. იგივე ეხება უკრაინასაც, რომლის დამოუკიდებლობაც კვლავ საფრთხეშია და რომლის შინაგანი გარდაქმნა კიდევ უფრო ჩამორჩება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისტორია კვლავ ღიაა, იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება პოსტკომუნისტური გარდაქმნის შედეგებს. რაც თანამედროეობას შეეხება პოლიტიკურად და ეკონომიკურად წარმატებული ლიბერალური დემოკრატია არ არის წინასწარ განსაზღვრული შედეგი, გარდა შესაძლებელი ხუთისა, 27 პოსტკომუნისტური სახელმწიფოსაგან

კიდევ რა ზდა მოიმოქმედოს დასავლეთმა

დროა დავუბრუნდეთ უკანასკნელს, დასაწყისში დასმული ოთხი კითხვიდან: კერძოდ, როგორი უნდა იყოს დასავლეთისა და შეერთებული შტატების პოზიცია?

უპირველესყოვლისა, საჭიროა სანგრძლივი და ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც გააერთიანებს გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს. ჯერჯერობით იგი უბრალოდ არ არსებობს. ეს სტრატეგია არ უნდა იყოს არც რუსო-ცენტრული და არც რუსო-ფობური. ის უნდა მუდგეს პოსტკომუნისტურ არეალს, როგორც მთლიანს, მაგრამ აღიაროს მის შიგნით მიმდინარე ცვლილებების სტადიების მნიშვნელოვანი განსხვავება. იმისათვის რომ განავითაროს და შეინარჩუნოს ასეთი ყოვლისმომცველი პოლიტიკა, შეერთებულმა შტატებმა უნდა მოითხოვონ შექმნა მყარი G—7 სტრატეგიული საგეგმო კომიტეტისა, რომელიც შეძლებდა ეხელმძღვანელა ცვლილებებისათვის და ხელი შეეწყო საქმის განაწილებისათვის ძირითად დასავლურ ძალებს შორის, შესაძლებელია, გეოგრაფიულ საფუძველზე. მაგალითად, იაპონიას, რადგან იგი ყოყმანობს რუსეთისათვის დახმარების გაწევაში, შეიძლება ხელი შეეწყოთ, რომ თავისი დახმარების კონცენტრირება მოახდინოს სხვა რომელიმე რეგიონში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ვთქვათ, უკრაინაში. ასეთი მყარი სტრატეგიული კომიტეტი აგრეთვე უნდა ურთიერთობდეს ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან.

გარდა ამისა, უფრო მოძცველობითი სტრატეგია შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად, დასავლურ კრედიტებს რუსეთში, ცენტრალური ევროპიდან რუსეთში კვებისა და მოხმარების საგნების ექსპორტისათვის. ეს შესაძლებელს გახდიდა ცენტრალურ ევროპულ გარდაქმნას და გაზრდიდა იმის ალბათობას, რომ რუსი ხალხისათვის განკუთვნილი დახმარება მიაღწევს განსაზღვრულ რეციპიენტს და არ გაეა შავ ბაზარზე შუამავალთა საშუალებით, რასაც სამწუხაროდ ადგილი ჰქონდა. ნებისმიერ შემთხვევაში ეჭვრობის ერთგვარი აღდგენა ცენტრალურ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის აშკარად ყველა მხარის ინტერესებში შედის.

მეორე, G—7-მა უნდა გამოიმუშაოს დახმარების პაკეტი უკრაინისათვის, რუსეთისთვის მიღებულის პარალელურად. გეოპოლიტიკური პლურალიზმი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დასავლეთის მიერ უნდა იქნას განხილული როგორც მიზანი, რომელსაც სისტემური გარდაქმნის თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ეს საკითხი განმეორებას იმსახურებს: გეოპოლიტიკური პლურალიზმი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სისტემური გარდაქმნა. შეერთებული შტატები ყოყმანით იწყებს მოძრაობას ამ მიმართულებით, მაგრამ მისი პოლიტიკა ამ თვალსაზრისით შენელებული, ისტორიული უცოდინრობით დამახინჯებული და ბიუროკრატიულ ჩიხში მოხვედრილი, ინსტინქტურად რუსო-ცენტრული იყო. დახმარების პაკეტი უკრაინისთვის, რომელიც საკმაოდ ნათლად და სპეციფიურად მხოლოდ ამ რეფორმაზეა განსაზღვრული, გამართლებულია როგორც ჰუმანიტარული და ეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

აფრე 1922 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის თავმჯდომარემ, მიშელ კამდესუმა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთს დასჭირდებოდა 24 მილიარდი გარეშე დახმარება და რომ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს — კიდევ დამატებით 20 მილიარდი. 7) ერთ წელზე ოდნავ მოგვიანებით, პირველი თანხა გამოიყო რუსეთისათვის, მაგრამ ძალიან ცოტა ან არაფერი გაიმიზნა უკრაინისა და სხვა არარუსული რესპუბლიკებისათვის. თუმცა, რუსეთის გარშემო ქაოსი ან ძირს უთხრიდა რუსეთის საკუთარ რეფორმებს, ან სტიმულს აძლევდა რუსეთის იმპერიული ამბიციების მოცოცხლებას, შესაძლებელია ორივეც. ასეთი შედეგები კი მეტად წამგებიანია პოსტკომუნისტური გარდაქმნისათვის.

მესამე, დასავლურ ბაზარზე დაშვება და გაზრდილი ინვესტიციები უნდა გახდეს G—7-ის წამოწყებების მთავარი პუნქტი. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ევროპული თანამეგობრობა ამ თვალსაზრისით ნელა მოძრაობს. რამოდენიმე დათმობა იყო თანამეგობრობის მხრიდან 1993 წლის კოპენჰაგენის შეხვედრაზე. მაგრამ ისინი შეიცავდა მხოლოდ ნაწილობრივ ლიბერალიზაციას არსებულ კვოტაზე დამყარებული სისტემისა, რომელიც ხელუდავდა ცენტრალურ ევროპულ .შეღწევას დასავლეთის ბაზარზე. დასავლეთ ევროპული ეკონომიკური წარმოებები, მაგალითად, ქიმიური ინდუსტრიის საბჭო ან ჭოვილებისა და ტანსაცმლის ევროპული კომპანიები, ისევე როგორც ზოგიერთი ეროვნული წარმოება, მაგალითად, გერმანიის ფოლადის ასოციაცია შეურთდნენ ევროპულ სასოფლო-სამეურნეო ინტერესებს, რათა გამოეწვიათ ხანგრძლივი დისკრიმინაცია ცენტრალურ-ევროპული მეტოქე პროდუქციისათვის. შეერთებულმა შტატებმა უნდა გავლენა იქონიონ თავის მოკავშირეებზე ამ საკითხში, რადგანაც ეს ქვეყანა უფრო გახსნილი იყო, ვიდრე ევროპული თანამეგობრობა. მაგრამ მან უნდა აგრეთვე მიახდინოს საკუთარი პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომელიც შეუსაბამოდ შეზღუდული იყო ცენტრალურ-ევროპული და რუსული ექსპორტის მიმართ. ცენტრალური ევროპისა და რუსეთის ეკონომიკას მეტად სჭირდება საკაჭრო სტიმულირება.

მეოთხე, შეერთებულმა შტატებმა უნდა შეარბილოს ზოგიერთი დოგმატური ელემენტი იმ რჩევებში, რომელსაც იგი ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს აძლევს. დასავლეთში, და განსაკუთრებით აშშ-ში არსებობდა ტენდენცია, თავისუფალი ბაზრის საიდუმლო ნიშნის შექმნისა და სახელმწიფოს როლის წაშლისა ეკონომიკური განვითარების წარმართვაში. რასაკვირველია, დემოკრატიაზე რჩევის მიცემაც კი უნდა შეთავაზებული იყოს იმ ხანგრძლივი ეტაპების ისტორიული შეფასებით, რომელიც საჭირო იყო დასავლური დემოკრატიის აღზრდისა და კონსოლიდაციისათვის. კულტურული პირობები და სპეციფიკური გარემოებანი უფრო მეტად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, ვიდრე ეს ხდებოდა საკმაოდ დოგმატურ რჩევებში, რომლებსაც აქამდე ამჯობინებდნენ.

და ბოლოს, სულაც არ არის აღრე, რათა დაიწყოს ფიქრი უსაფრთხოების ახალ შეთანხმებებზე, რომლებიც ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებთან დადება. გეოპოლიტიკური საფრთხე იზრდება ყოფილ კომუნისტურ სამყაროში და იგი ხდება ისეთივე მძაფრი პოლიტიკური პრობლემა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური მღელვარება. ამაზე პასუხია საჭირო, თანაც ისეთი, რომელიც მიუთითებდა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოების ნატოში შემდგომ მიღებას. ზოგიერთი კომუნისტური სახელმწიფოს ეტაპობრივი ჩართვა უფრო მისაღები იქნება

დასასრული მე-3 გვ

“ცხოვრების მაგალითადა, ბრიყვები დამისახოდი“

ამ სიტყვებს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის პერსონაჟი ამბობს. თუ მას განვაზოგადებთ, ეს საყვედური მთელ ხალხსაც შეუძლია თქვას თავისი ხელმძღვანელების მიმართ მთელ რიგ შემთხვევებში. ასე მაგალითად, კომუნისტები მთელი ცხოვრება ჩაგვჩიჩინებდნენ 1913 წელთან შედარებთი ხალხის ცხოვრების დონე ასე და ასე გაიზარდა და ასე და ასე ვართ გაბედნიერებულნიო, ხოლო იმაზე კრინტს არ ძრავდნენ, გვერდით მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით კატასტროფულად რომ ვიყავით ჩამორჩენილნი.

ასე რომ, ცხოვრების მაგალითად თუ რას ავიღებთ ამაშიც ჩანს ჩვენი რაობა და ისიც, როგორი ცხოვრების ღირსნი ვართ.

მოარული ანდაზა, მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ, ასეც შეიძლება გადაკეთდეს — მითხარი ვის ბაძავ და გეტყვი ვინ ხარ შენ...

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ სურათს ჩინეთის საბანკო ცხოვრებიდან.

ჩინეთის ეკონომიკა აღმავლობას განიცდის, მაგრამ იგი გამაგრებული არ არის სათანადო საბანკო სისტემით. სწორედ ამიტომ, ჩინეთის პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ჩინეთის ბანკების საზღვარგარეთულ ყაიდაზე გარდაქმნა. აღნიშნული მინის მიღწევა საკმაოდ ძნელი იქნება იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ჩინეთის ბანკები სუსტნი და პოლიტიზირებულნი არიან. ყველა ბანკი სახელმწიფოს საკუთრებაშია. 80-იანი წლების შუა პერიოდამდე ყველა სახის კომერციულ საბანკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი იყო ცენტრალური ბანკი — ჩინეთის სახალხო ბანკი. შემდგომში მას დაემატა ოთხი სპეციალიზირებული და რვა უნივერსალური ბანკი.

სპეციალიზირებული ბანკები რეალურად სახელმწიფო დეპარტამენტებია, რომლებიც თითქოს მთლიანად ექვემდებარებიან პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს. სპეციალიზირებულ ბანკებს შორის უდიდესია ჩინეთის ინდუსტრიული-კომერციული ბანკი, რომლის აქტივიც 1992 წლის ბოლოს დაახლოებით 1,4 ტრილიონი იუანი ($ 243 ბილიონი) იყო. მის 30 000 ფილიალში დასაქმებულია 500 000 მოსამსახურე. ისევე როგორც სხვა სპეციალიზირებული ბ. კები, ეს ბანკიც „სუსტ გიგანტს“ წარმოადგენს. მთავრობა აღიარებს, რომ ამ ბანკის კრედიტების 30 პოლიტიკური ინტერესებისათვის არის გაცემული, ე. ი. წამგებიან და გადამხდელუნარიანობას მოკლებულ სახელმწიფო ინდუსტრიულ ფირმებზე. ერთ-ერთ სპეციალიზებული ბანკის დირექტორის განცხადებით, კიდევ უფრო მეტია პოლიტიკური ინტერესებისათვის გაცემული კრედიტების წილი. ასეთი კრედიტების გაცემა სწარმოებს არა მხოლოდ უშუალოდ პეკინიდან მიღებული განკარგულებების საფუძველზე, არამედ ადგილობრივი და რეგიონალური ხელმძღვანელების და თვით ბანკის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებითაც. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიმღები პირნი არც თუ იშვიათად თავადაც ღებულობენ გარკვეულ „პირად მოგებას“ ასეთი პოლიტიკური კრედიტებისაგან. სპეციალიზებული ბანკების ასეთი საქმიანობის ერთ-ერთ არასახარბიელო შედეგს წარმოადგენს მათი ბალანსების სავალალო მდგომარეობა. რაც შეეხება ცენტრალურ ბანკს, მისთვის თითქმის შეუძლებელია მიმოქცევაში მყოფი ფულის მახის კონტროლი, რადგანაც ცენტრალური და სპეციალიზირებული ბანკების ფილიალები განიხილებიან როგორც სამთავრობო ადმინისტრაციული ერთეულები და შესაბამისად რეგიონალურ ხელმძღვანელებს აქვთ მნიშვნელოვანი ძალა, რომ იგნორირება გაუკეთონ. ცენტრალური ბანკიდან მოსულ ბრძანებებს ფულის ემისიის შემცირებაზე.

რეზო ორმოცაძე

დიადი გარდაქმნა

მეშვიდე გვერდიდან

რუსეთისა და უკრაინისათვის, თუ ეს წარმოდგენილი იქნება, როგორც ნაწილი იმ პროცესისა, რომლის რეზულტატიც იქნებოდა უსაფრთხოების ფართო ევრო-ატლანტიკური სისტემის გამოჩენა და სადაც ერთ შშეენიერ დღეს ჩართული იქნებოდა მოსკოვი და კიევი. ნებისმიერ შემთხვევაში პრაქტიკულად ზოგიერთი ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო შეძლებდა ნატოში შესვლას სხვებზე ადრე, რადგანაც უაზრო მოჩდა, ვიდრე ყველა იქნება მზად შესასვლელად რომელიმე პირველის წინ გატარებამდე. შესაბამისად, ერთი (შესაძლებელია პოლონეთის), ან მეტი ცენტრალურ-ევროპული სახელმწიფოს მიღება ნატოში, უხეშად რომ ვთქვათ, 1996 წლისათვის იქნება დასავლური პოლიტიკის მთავარი მიზანი.

ყოველივე ეს წარმოგვიდგენს მთავარ გეგმას, თუ დასავლეთს აქვს საჭირო პოლიტიკური ნება და სტრატეგიული მიმართულება. მაგრამ მიმართავს კი ამერიკა ამას? უპასუხებს დასავლეთი? შესაძლებელია არა იმე გამიზნულად და სტრატეგიულად, როგორც სასურველი იქნებოდა. დასავლეთი დაკავებულია შიდა საქმიანობით, კულტურული ჰედონიზმით, რომელიც დომინირებს მის ფასეულობათა სისტემაზე. კულტურული ჰედონიზმი არ უთმობს თავის თავს აქტივისტურ პოლიტიკას, რომელსაც მოჰყვება ვალდებულებები და გარკვეული მსხვერპლი. თუმცა უსამართლობა იქნებოდა დაგვედანაშაულებინა აშშ იზოლაციონიზმში — რადგან ამერიკა ნამდვილად არ იხსნის თავის ფორმალურ, ვლობალურ ვალდებულებებს — ჩანს, რომ ვაშინგტონი ამკობს აწარმოებს ძირითადად მინიმალისტურ საგარეო პოლიტიკას. ახდენს რა საკუთარი თავის იზოლირებას, თუმცა არაწინასწარგანზრახვით მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისაგან, ამ ეტაპზე შეერთებული შტატები განსაზღვრავს თავის ვალდებულებებს, უმცირესი ზომით და თავის პასუხისმგებლობას როგორც ლიდერი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ააამოქმედებს, როდესაც მოქმედების აუცილებლობა მეტად გაშეკვეთდება.

იმედისმომცემია, რომ დასავლური ჰედონიზმი ზოგადად და ამერიკული მინიმალიზმი წარმავალი ფაზაა იმისი, რასაც „გამარჯვების შემდგომი სევდა“ შეიძლება ეწოდოთ — გარდაუვალი იმედგაცრუება ციკი ომის ხანგრძლივი ისტორიული ძალისხმევების შემდგომ. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ, რადგან თუ ეს ფაზა მალე არ დასრულდა პოსტკომუნისტური გარდაქმნა არა მხოლოდ მტკივნეული და ხანგრძლივი იქნება, არამედ მისი შედეგები კიდევ უფრო გაურკვეველი გახდება.

თარგმნა
ხათუნა კვესელავამ

განცხადება

პარასკევს, 25 მარტს 12 საათზე გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის ღია სხდომა.

დარბაზის წევრთა დასწრება სავალდებულოა

საქართველოს სახალხო ფრონტის სორგანიზაციო განყოფილება

საქართველოს ნაციონალისტური პარტიის წესდება

მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს ნაციონალისტური პარტიის წესდებას (თავმჯდომარე: ზაზა ვაშაყმაძე).

ახალი პარტიის ამ სახელწოდებით შექმნა ნურავის შეაშინებს. ნაციონალიზმი ის ცნებაა, რომელიც ფარზე ჰქონდათ აზიდული თვით ილიას და აკაკის.

ამ ცნების დისკრედიტაციას და შოვინიზმთან გაიგივებას მხოლოდ ავადსახსენებელი კომუნისტები ეცადნენ.

ვუსურვებთ პარტიათა სიმრავლეში ნაციონალისტური პარტიის ახალგაზრდა წევრები თავიანთი მამულიშვილური საქმეებით ყოფილიყვნენ გამორჩეულნი და ეს ცნება თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით დაემკვიდრებინოთ მასის ცნობიერებაში.

I. ზოგადი დებულებები

საქართველოს ნაციონალისტური პარტია, შემდგომში პარტია, შემოკლებით სნპ, არის ეროვნულ საწყისებზე აგებული ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების საფუძველზე.

1.2. საქართველოს ნაციონალისტური პარტია წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა (მათ შორის სავალუტო) ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

1.3. საქართველოს ნაციონალისტური პარტიის ადგილსამყოფელია საქართველოს რესპუბლიკა. ქ. თბილისი.

II. საქართველოს ნაციონალისტური პარტიის დევიზია.

ერი და მამული

III. საქართველოს ნაციონალისტთა პარტიის ძირითადი მიზნები

3.1. პარტიის მიზანია ქართველი ერის გაერთიანება, ქართული სახელმწიფოს აღორძინება, საქართველოს რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

3.2. პარტიის ამოცანაა ბრძოლა მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით ჩვენი ერის არსებობისათვის, ჩვენი ხალხის სოციალური კეთილდღეობისათვის, ჩვენი მამულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

3.3. პარტიის ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

IV. საქართველოს ნაციონალისტური პარტიის წევრობა და უფლება-მოვალეობანი.

4.1. საქართველოს ნაციონალისტური პარტიის წევრად შესვლა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ მოქალაქეს განურჩევლად სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა, რომელიც იზიარებს პარტიის წესდებას და პროგრამას, იხდის საწევრო გადასახადსა და მონაწილეობს მის საქმიანობაში.

4.2. პარტიის წევრად იღებს და ამტკიცებს საქართველოს ნაციონალისტური პარტიის სათათბირო დარბაზის საქართველოს ნაციონალისტური პარტიის რესპუბლიკური დაქვემდებარების ან რაიონული კომიტეტის ერთ-ერთი წევრის რეკომენდაციით.

4.3. პარტიის წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის არჩევით ორგანოში.

პარტიის წევრს ეკრძალება:

ა) გამოვიდეს პარტიის სახელით, თუ ეს არ იქნება შეთანხმებული პარტიის თავმჯდომარესთან.

ბ) პარტიის შინაური საქმეები გააცნოს უცხო პირს.

გ) პარტიის შესახებ ჩვენების მიცემა ხელმძღვანელი ორგანოს ან პარტიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

4.4. პარტიის წევრები გაირიცხებიან წესდების უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის და შეუფერებელი საქციელისათვის.

გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სათათბირო დარბაზი საკუთარი ან რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და რაიონული კომიტეტების ინიციატივით.

V პარტიის სტრუქტურა, ხელმძღვანელი ორგანოების უფლება-მოვალეობანი

5.1. პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება: პირველადი (სოფლის, ქალაქის, რაიონის) რესპუბლიკური დაქვემდებარების (ქალაქის, რაიონის) კომიტეტებისაგან.

5.2. პირველად ორგანიზაციებს (სოფლის, ქალაქის, რაიონის) იმ რაიონებში, სადაც არსებობს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის კომიტეტი, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ასეთი ქალაქი არ არსებობს — რაიონის კომიტეტი.

პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეებს ნიშნავს შესაბამისად რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ან რაიონის კომიტეტი.

პირველადი ორგანიზაცია ადმინისტრაციულად ექვემდებარება შესაბამისად რაიონის და ქალაქის კომიტეტს.

პირველადი ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს საქართველოს ნაციონალისტური პარტიის ყრილობის, საქ. ნაც. პარტიის თავმჯდომარის, სათათბირო დარბაზის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის და რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებები და მითითებები.

5.3. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის და რაიონის კომიტეტები წარმოადგენენ შესაბამის რაიონის ფარგლებში საქართველოს ნაციონალისტური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის და რაიონის კომიტეტის თავმჯდომარეებს ნიშნავს სათათბირო დარბაზი პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

VI პარტიის ყრილობა

პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს ყრილობა. პარტიის ყრილობა მოიწვევა წელიწადში ორჯერ. ამტკიცებს სათათბირო დარბაზის მიერ დასახულ ამოცანებს და ანგარიშებს იბარებს სათათბირო დარბაზისა და პარტიის თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

პარტიის ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. შესაძლებელია მოწვეული იქნას რიგგარეშე ყრილობა (პარტიის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით ან დარბაზის გადაწყვეტილებით).

ა) ყრილობა იღებს წესდებას და პროგრამას, შეაქვს მასში შესწორებანი.

ბ) ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით, დელეგატთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

გ) ირჩევს პარტიის სარევიზიო კომისიას.

რიგგარეშე ყრილობა მოწვეული უნდა იქნეს არაუგვიანეს ერთი თვისა საქართველოს ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარის ან სათათბირო დარბაზის მიერ ყრილობის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების დღიდან.

VII საქართველოს ნაციონალისტური პარტიის სათათბირო დარბაზი

7.1. საქ. ნაციონალისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოა სათათბირო დარბაზი, რომელიც უძღვება საქართველოს ნაციონალისტური პარტიის ყოველგვარ საქმიანობას.

7.2. სათათბირო დარბაზის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ნაციონალისტური პარტიის თავმჯდომარე, საქ. ნაც. პარტიის თავ-რის მოადგილე, დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეები.

სათათბირო დარბაზი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

სათათბირო დარბაზი პირველად სხდომაზე, რომელიც იმართება მისი დაკომპლექტების დღეს, ირჩევს პარტიის ამოცანებს და მისი განხორციელების გზებს.

სათათბირო დარბაზი

ა) შეიმუშავებს სნპ-ის მიმდინარე და პერსპექტიულ პოლიტიკას და ცხოვრებაში ახორციელებს მათ.

ბ) განაგებს სნპ-ის ფულად სახსრებს;

გ) რეკომენდაციებს აძლევს სნპ-ის წევრებს ამა თუ ის სახელმწიფო თანამდებობაზე მათი კანდიდატურის წარსადგენად;

დ) აკეთებს განცხადებებს სნპ-ის სახელით.

სათათბირო დარბაზი იკრიბება ორ კვირაში ერთხელ მაინც, სათათბირო დარბაზის სხდომას თუ არ ესწრება სნპ-ის თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე, მაშინ სხდომის თავმჯდომარეს ირჩევს თვით სათათბირო დარბაზი.

სათათბირო დარბაზის გადაწყვეტილებების და მითითებების შესრულება სავალდებულოა სნპ-ის ყველა წევრისა და ორგანოსათვის.

სნპ-ის სათათბირო დარბაზის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს სნპ-ის თავმჯდომარე და სათათბირო დარბაზის თავმჯდომარე. თუ სათათბირო დარბაზის სხდომებს არ ესწრება სნპ-ის თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე სათათბირო დარგის გადაწყვეტილებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

7.3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის შემადგენლობას ირჩევს პარტიის დელეგატთა ყრილობა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს პარტიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე.

სნპ-ის თავმჯდომარე

1. წარმოადგენს სნპ-ის ყველა დონის ურთიერთობაში;

2. სნპ-ის სახელით აკეთებს განცხადებებს.

3. სათათბირო დარბაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და იძლევა სავალდებულო მითითებებს.

4. ნიშნავს თავის მოადგილეს, რომელიც პარალელურად სათათბირო დარბაზის თავმჯდომარეა.

5. თავისი სურვილით თავმჯდომარეობს სნპ-ის სათათბირო დარბაზის სხდომებს.

6. ნიშნავს ყველა კომისიის თავმჯდომარეებს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის გარდა.

7. სნპ-ის თავმჯდომარე უფლებამოსილია დაშალოს სათათბირო დარბაზი და მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა.

სნპ-ის თავმჯდომარის გადაყენების უფლება აქვს სნპ-ის ყრილობას, დელეგატთა ხმების 2/3-ით. სნპ-ის თავმჯდომარის გადაყენების საკითხის დასმის უფლება აქვს — ყრილობის დელეგატთა ხმების 2/3-ით, ხოლო სათათბირო დარბაზს, დარბაზის წევრთა 3/4-ით, ამ შემთხვევაში სათათბირო დარბაზს აქვს უფლება მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა.

სნპ-ის თავმჯდომარის მოადგილე — სათათბირო დარბაზის თავმჯდომარე:

1. სნპ-ის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ასრულებს სნპ-ის თავმჯდომარის მოვალეობას.

2. თავმჯდომარეობს სათათბირო დარბაზისა და ყრილობის სხდომებს.

3. ხელმძღვანელობს სნპ-ის სათათბირო დარბაზის აპარატის მუშაობას.

საქართველოს ნაციონალისტური პარტიის სიმბოლიკა

საქართველოს ნაციონალისტურ პარტიას აქვს საკუთარი გერბი, ბეჭედი, დროშა.

საქართველოს ნაციონალისტური პარტიის სახსრებია:

პარტიის ფინანსური სახსრები შედგება შემოწირულობებისაგან, საწევრო გადასახადებისაგან, საგამომცემლო და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლებისაგან.

პარტიის ლიკვიდაცია

პარტია საქმიანობას წყვეტს მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებით თვითდაშლის შესახებ პარტიის წევრთა 2/3-ის თანხმობით ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილებით პარტიის თვითლიკვიდაციის შემთხვევაში საქ. ნაც. პარტიის მთელი ქონება იყიდება აუქციონზე და შემოსული თანხა მთლიანად ერიცხება ქართული არმიის აღმშენებლობისათვის საქართველოს თაღდაცვის ფონდს.

თვითლიკვიდაციის შემთხვევაში ყრილობის მიერ ირჩევა სალიკვიდაციო კომისია, რომელიც აგვარებს პარტიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ეგანოიძე
ხათუნა კვესელავა
რიმა ლოლაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შეკვეთილი მასალები აპტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447
ფასი
10000 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა“-ში
ტელ: 93—83—07, 29—49—60